



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



საპროტექციო  
აქტიურობის  
აქტიურობის  
ცენტრი

# დაზარალებული და მონება ბავშვთან ურთიერთობა

გზამკვლევი



„დაზარალებულ და მონმე ბავშვთან ურთიერთობა - გზამკვლევი“ მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ორგანიზებით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა პუბლიკაციის შინაარსზე ეკისრება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს.

# დაზარალებულ და მოწვე ბავშვთან ურთიერთობა

## სარჩევი

### წინასიტყვაობა

თავი 1 .....	7
ბავშვის განვითარების მახასიათებლები - შესაძლებლობები და შეზღუდვები ....	7
კომუნიკაციის უნარი და ენა/მეტყველება .....	8
ჩაგონებადობა .....	9
ინდივიდუალური მახასიათებლები .....	10
წარმოსახვა (ფანტაზია) .....	12
მეხსიერება .....	13
თავი 2 .....	16
სტრესული ფაქტორები და კითხვის/გამოკითხვის დროს .....	16
სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები .....	16
ემოციური გარემო .....	16
გახსენება-მოყოლა .....	17
სტერეოტიპები .....	17
სტრესი, დრო და მეხსიერება .....	18
თავი 3 .....	19
ბავშვთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები .....	19
ბავშვთან საუბრის წარმართვის თავისებურებები .....	19
როდესაც ბავშვი განსაკუთრებით „ჩაკეტილია“ .....	20
თავი 4 .....	22
შეკითხვების ტიპები .....	22
რატომ არის მნიშვნელოვანი შეკითხვების ტიპებზე ყურადღების გამახვილება? .....	22
დაკითხვის/გამოკითხვისას გამოყენებული შეკითხვების ტიპები .....	22

შეკითხვების თანმიმდევრობა .....	24
<b>თავი 5.</b> .....	26
<b>დაკითხვის/გამოკითხვის დაგეგმვა</b> .....	26
ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაკითხვის/ გამოკითხვის დაგეგმვისათვის .....	26
დაკითხვის/გამოკითხვის ჩატარების ადგილი .....	26
დაკითხვების/გამოკითხვების დრო .....	27
დაკითხვების/გამოკითხვების ხანგრძლივობა და რაოდენობა .....	27
დაკითხვაზე/გამოკითხვაზე დამსწრე სხვა პირები .....	27
<b>თავი 6.</b> .....	29
<b>ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული პროტოკოლი</b> .....	29
რატომ არის მნიშვნელოვანი ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის სწორად ჩატარება? .....	29
რას წარმოადგენს NICHD პროტოკოლი? .....	29
<b>თავი 7</b> .....	32
<b>NICHD პროტოკოლის ფაზები</b> .....	32
შესავალი .....	32
ურთიერთგაგების დამყარება .....	33
გავარჯიშება .....	35
არსებითი ფაზა .....	37
დასრულება .....	40
<b>დანართი</b> .....	43
<b>დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის NICHD სტრუქტურირებული პროტოკოლი</b> .....	43

# წინასიტყვაობა

ტრავმირებულ ბავშვთან საუბარი სათანადო კვალიფიკაციას მოითხოვს და დაკითხვის სპეციალური მეთოდის ცოდნას ეფუძნება.

უმრავლეს შემთხვევებში, სამართალდამცავ სისტემასთან ბავშვების პირველი კონტაქტი პოლიციელებთან, გამოძიებლებთან შეხვედრით იწყება, ანუ ადამიანებთან ურთიერთობით, რომლებიც საგამოძიებო დაკითხვებს/გამოკითხვებს ატარებენ. გამოძიების მსვლელობისას, განსაკუთრებით კი დაზარალებული და მონმე ბავშვის დაკითხვის დროს, განცდილ ტრავმაზე საუბარმა, შესაძლოა, ბავშვს კიდევ უფრო გაუმწვავოს და გაულრმავოს უკვე არსებული ტრავმული გამოცდილება. მსგავსი სირთულეები განსაკუთრებით თავს იჩენს მაშინ, თუ ძალადობა ოჯახში ხდება, ან თუ საქმე გვაქვს ბავშვზე სექსუალურ ძალადობასთან.

გამოცდილებამ აჩვენა: ძალადობის უამრავი შემთხვევა დაფარული რჩება იმის გამო, რომ დაზარალებულს ან დანაშაულის მონმე ბავშვს, რომელიც ხშირად ინფორმაციის ერთადერთი წყაროა, არ ეძლევა ნორმალურად დალაპარაკების შესაძლებლობა მათთან, ვისაც მისი დახმარება შეუძლიათ. ამას გარდა, კვლევებით დადასტურებულია: ბავშვზე ძალადობაში ეჭვმიტანილთა უმრავლესობას ბრალი არ/ვერ დაუმტკიცდათ ხშირად იმიტომ, რომ გამოძიება იყო არაადეკვატური, ბავშვის გამოკითხვა არასწორად ჩატარდა. სწორედ ამიტომ, დაზარალებულ და მონმე არასრულწლოვანთან ურთიერთობა პროფესიონალის სპეციალურ უნარებს, განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომებს, განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს.

წინამდებარე გზამკვლევი ეფუძნება ბავშვთან პროფესიონალის ურთიერთობის იმ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლებიც დადასტურებულია მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევებით, საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილებით და ვრცლად გახლავთ წარმოდგენილი ჩვენ მიერ მომზადებულ სასწავლო სახელმძღვანელოში „მომიყვი რა მოხდა — დაზარალებული და მონმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა“.

ჩვენ შევეცადეთ, რომ გზამკვლევი, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მოსახერხებელი და სასარგებლო ყოფილიყო პოლიციელებისთვის, გამოძიებლებისთვის, დაზარალებული და მონმე ბავშვის დაკითხვაში ჩართული პროფესიონალებისთვის. ვიმედოვნებთ, რომ გზამკვლევი დაგეხმარებათ ბავშვთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარებასა და მისგან სარწმუნო ინფორმაციის მიღებაში, მიუხედავად ბავშვის ასაკისა, აგრეთვე იმ მიზეზისა და როლისა, რომლითაც ის მოხვედრილია მართლმსაჯულების სისტემაში.

გზამკვლევის დანართში წარმოდგენილია NICHD დაკითხვის სტრუქტურირებული

პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც შეგიძლიათ წარმართოთ დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის პროცესი.

გზამკვლევაში რეკომენდირებული პრინციპები შეესატყვისება სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს და სრულ თანხვედრაშია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან.

„დაზარალებულ და მოწმე ბავშვთან ურთიერთობა - გზამკვლევი“ მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდების დასაცავად“ ფარგლებში. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი პროექტს ახორციელებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. გზამკვლევის ტექსტი მომზადებულია ბავშვთა დაცვის ექსპერტის, ფსიქოლოგ ეკატერინე (ქეთი) თავართქილაძის მიერ.

# თავი 1

## ბავშვის განვითარების მახასიათებლები - შესაძლებლობები და შეზღუდვები

არასრულწლოვნის დაკითხვისას, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის როგორც რაოდენობა, ასევე სანდოობა დიდწილად განპირობებულია ბავშვის განვითარების დონით. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ასაკობრივი განვითარების დონე არ განსაზღვრავს ბავშვის მიერ პირადი გამოცდილების გადმოცემის უნარს და განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორცაა მომხდარი შემთხვევის კონკრეტული თავისებურებები და რაც მთავარია, დაკითხვისას/გამოკითხვისას დამკითხველის მიერ გამოყენებული მეთოდები, დასმული შეკითხვების ფორმა.

ვინაიდან დაზარალებული და მოწმე ბავშვები ხშირად ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ განხორციელებული სამართალდარღვევის საქმეში, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ სტრესული გამოცდილების დახსოვება და აღწერა-გადმოცემა. ამ თავში ხაზგასმულია ბავშვის განვითარების ის მახასიათებლები, ის შესაძლებლობები და შეზღუდვები, რომლებიც რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის პასუხებსა და ქცევაზე დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ დამკითხველებმა/გამომკითხველებმა ყოველთვის გაითვალისწინონ ბავშვის განვითარების ბუნებრივი პროცესისთვის დამახასიათებელი ეს შესაძლებლობები თუ შეზღუდვები, და შესაბამისად, აღარ დაუსვან ბავშვებს დამატებითი კითხვები, როცა ცხადია, რომ კონკრეტული საკითხი ბავშვის კომპეტენციას სცდება.

### ბავშვის განვითარების ძირითადი მახასიათებლები

- კომუნიკაციის უნარი და ენა/მეტყველება;
- ჩაგონებადობა;
- ინდივიდუალური მახასიათებლები;
- წარმოსახვა (ფანტაზია);
- მეხსიერება.

სწორი გამოკითხვის შემთხვევაში, ძალიან პატარა ბავშვებსაც კი შეუძლიათ დალაგებული და გასაგები ინფორმაციის მოწოდება.

## კომუნიკაციის უნარი და ენა/მეტყველება

ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების სიცხადე და სისრულე განსაკუთრებით დამოკიდებულია მის განვითარებად კომუნიკაციურ უნარებზე. ვინაიდან დამკითხველის/გამომკითხველის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევა არის ბავშვისაგან სწორი და მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის მოპოვება, ამ მხრივ გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ხშირად პატარა ბავშვები ცალკეულ ბგერებს არასწორად წარმოთქვამენ, მას შემდეგაც კი, როცა ეს ბგერები თითქოს უკვე ათვისებული აქვთ. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ დამკითხველმა/გამომკითხველმა ვერ გაიგოს ბავშვის ნათქვამი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მცირეწლოვან ბავშვებს ეხება.
- ბავშვებს შეიძლება საკმაო ლექსიკური მარაგი ჰქონდეთ, მაგრამ მათ მიერ გამოყენებული სიტყვები მაინც უფრო შეზღუდული და ზოგადია, წინადადებებში ხშირად გამოტოვებულია სიტყვები. ხშირად ბავშვები სიტყვებს იგებენ ძალიან კონკრეტული მნიშვნელობით (მაგალითად, ბავშვმა შეიძლება არ გიპასუხოთ კითხვაზე, „რა მოხდა „სოფელში?““, თუკი შეკითხვა „აგარაკზე“ მომხდარს შეეხება.
- ბავშვების ლექსიკონი მეტად თავისებურია. მცირეწლოვანმა ბავშვებმა, შესაძლოა, გამოიყენონ სიტყვები, რომელთა მათეული გაგებაც არ შეესაბამება ამ სიტყვების სტანდარტულ მნიშვნელობებს, ან ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც საერთოდ არ ესმით ან ძალიან ცუდად ესმით.
- ბავშვებს უჭირთ ბევრი ფაქტის შემცველი წინადადებების გაგება და მათზე პასუხის გაცემა. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია შეკითხვების გამარტივება. საყურადღებოა ისიც, რომ მცირეწლოვანი ბავშვები, როგორც წესი, ვერ კი ხვდებიან, რომ რთული შეკითხვა არასწორად გაიგეს და იშვიათად ითხოვენ დაზუსტებას.
- როცა დამკითხველს/გამომკითხველს არასწორად ესმის ბავშვის სიტყვები, ხშირად ის მათ დაზუსტებას არ ითხოვს. საყურადღებოა, რომ ბავშვები ნაკლებად უსწორებენ დამკითხველს/გამომკითხველს, როცა ის შეცდომებს უშვებს. შედეგად, დაკითხვის ოქმში მართებული ინფორმაციის ნაცვლად, სწორედ შეცდომები შედის.
- პატარა ბავშვებს ვერ არ აქვთ ბოლომდე განვითარებული უნარი - როგორ მიიღონ მონანიღობა საუბარში, როგორ არ გადაუხვიონ სასაუბრო თემიდან, როგორ იმეტყველონ სხვადასხვა გარემოში, თანამოსაუბრის შესაბამისად და როგორ ჩამოაყალიბონ გამართულად ისტორია წარსული გამოცდილების შესახებ. ისინი ამ ყველაფერს თანდათანობით სწავლობენ. ეს სწავლის პროცესი კი, შესაძლოა, დაკითხვის/გამომკითხვის ჩატარების პერიოდში დასრულებული არ იყოს.

- ბავშვებს სერიოზული სიძნელეები აქვთ დროის აღქმის მხრივ. მცირე-წლოვნებს უჭირთ როგორც შემთხვევათა დათარიღება, აგრეთვე მათი თანმიმდევრობის აღდგენა. ძალიან ხშირად, პატარა ბავშვები, ყველაფერზე, რაც დღემდე მოხდა, ამბობენ, რომ ეს მოხდა „გუშინ“. ხშირად მათთვის დამაბნეველია სიტყვები: „შემდეგ“, „წინ“, „თავიდან“, „ბოლოს“ და სხვა. მართალია, 3 წლის ბავშვმაც შეიძლება იცოდეს კვირის დღეები, წელიწადის თვეები და მათი ჩამოთვლაც შეეძლოს, თუმცა ვერ თქვას, „ნოემბერი უფრო ადრეა თუ დეკემბერი“, „პარასკევი ხუთშაბათის შემდეგაა თუ მანამდე“ და ასე შემდეგ.

## ჩაგონებადობა

ბავშვები მაღალი ჩაგონებადობით გამოირჩევიან, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჩაგონების მიმართ განსაკუთრებით დაუცველნი არიან. ბავშვები ადვილად ჩაგონებადნი არიან, რადგან ისინი ვერ ადგენენ მეხსიერებაში აღბეჭდილი ცოდნის წარმომავლობას (ფანტაზია რეალობის წინააღმდეგ). დაკითხვის პროცესში, დამკითხველის ჩამაგონებელი მიმართვებით და ქცევებით, დაზარალებულ ან მოწმე ბავშვს ადვილად შეიძლება გაუჩნდეს დეტალური ცრუ მოგონებები მთლიანად ფიქტიური მოვლენების შესახებ.

## ბავშვის ჩაგონებადობას ზრდის:

- **ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი მიმართვები** - მაგალითად, „ის შენ შეგე-ხო, ხომ ასეა?“, „მართალია, რომ მან გითხრა, მოგკლავო?“ და ასე შემდეგ. უმეტესწილად, ბავშვები თითქმის გაუაზრებლად ადასტურებენ ამგვარად ფორმულირებულ შეკითხვებს. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მიმანიშნებელი მიმართვების გამოყენებამ, შესაძლოა, ძველი გამოკითხვების სრულიად საპირისპირო შედეგები მოიტანოს.
- **პირდაპირი ან არაპირდაპირი მუქარა** - მაგალითად, „თუ ყველაფერს ისე არ მოყვები, როგორც მოხდა, შენ დაგსჯიან“, „სანამ არ მიპასუხებ, აქედან ვერ წახვალ“ და სხვა. დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს გამძაფრებული აქვთ დანაშაულის გრძნობა. იმის შიშით, რომ მომხდარში მას დაადანაშაულებენ, და ამასთან, თუ ბავშვი დაასკვნის, რომ დამკითხველისთვის რაღაც ტიპის პასუხები უფრო მისაღებია, ის შეეცდება შეცვალოს მონათხრობიც, რათა მეტი კეთილგანწყობა მოიპოვოს.
- **დამკითხველის/გამომკითხველის მაღალი სტატუსის ხაზგასმა** - მაგალითად, „მე ბევრ ბავშვს შევგვდრივარ და ზუსტად ვხვდები, როდის ამბობს ბავშვი სიმართლეს“, „მე ვიცი, რაც მოხდა და ახლა შენგან მინდა მოვისმინო“ და სხვა. ასეთ შემთხვევაში ბავშვი იფიქრებს, რომ დამკითხველმა „ისედაც ყველაფერი იცის“ და ნაკლებად ისაუბრებს. თუ ბავშვს არ ეცოდინება, რომ დამკითხველმა ბევრი არაფერი იცის

მომხდარის შესახებ, მაშინ მან შეიძლება არ გადმოსცეს ყველაფერი, რაც იცის.

- **ბავშვისთვის რალაციის წარმოდგენის ან გამოცნობის შეთავაზება** - მაგალითად, „შენ ამბობ, რომ არ გახსოვს, მაგრამ დაფიქრდი და წარმოიდგინე, მაინც რა მოხდებოდა“. ამგვარი შეთავაზება ბავშვებში „ცრუ მოგონებათა“ ნაკადს გამოიწვევს და შედეგად, ბავშვებმა, შესაძლოა, ისეთი რალაციებიც მოყვნენ, რაც საერთოდ არ შემთხვევიათ.

**ბავშვებზე ასევე ჩამაგონებლად მოქმედებს:** დამკითხველის/გამომკითხველის მიერ ისეთი ინფორმაციის გაჟღერება, რომელიც ბავშვს არ უთქვამს; ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა - მაგალითად, ბავშვისთვის იმის თქმა, რომ ის თავს უკეთ იგრძნობს, თუკი სხვა ბავშვების ნათქვამს დაეთანხმება“; აგრეთვე, ერთი და იგივე შეკითხვების რამდენჯერმე გამეორება.

**როცა დამკითხველი:** (ა) ბავშვს უხსნის დაკითხვის მიზანს, მის როლს და იმასაც, რომ მან რალაცი კითხვებზე პასუხები არ იცის; (ბ) არ სვამს ისეთ კითხვებს, რომლებიც ბავშვისგან რაიმეს წარმოდგენას, გამოცნობას მოითხოვენ; (გ) არ ახდენს ბავშვზე ზეწოლას; (დ) არ იმეორებს შეცდომაში შემყვან კითხვებს; (ე) ეხმარება ბავშვს, რომ იყოს კონცენტრირებული პირადად გადახდენილ მოვლენებზე — ბავშვები უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ჩაგონებას, ხოლო მათი ჩვენებები უფრო ზუსტი და მნიშვნელოვანი ხდება.

## ინდივიდუალური მახასიათებლები

ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, თქვენ საშუალება გექვს, გაარკვიოთ, რამდენად ჩაგონებადია ბავშვი, რამდენად ადვილია მისი დაბნევა, რამდენად მორცხვია, ხშირად იტყუება თუ არა, ან დაკითხვის/გამომკითხვის რომელი სტრატეგია იქნება უფრო შედეგიანი კონკრეტულ ბავშვთან ურთიერთობისას. ბავშვები ხშირად სიტყვაძუნები, თავშეკავებულები, ჩაკეტილები არიან უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სასაუბრო თემა ბავშვისთვის უხერხული და მძიმეა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სანამ სავარაუდო ძალადობის ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას შეეცდებით, ურთიერთობა დაამყაროთ ბავშვთან და არ დაინცოთ პირდაპირ დაკითხვა.

## ინდივიდუალური მახასიათებლებია:

- **სოციალური ფაქტორები** - ოჯახი, თემი. რამდენად აქვს ბავშვს ოჯახის მხარდაჭერა, ასევე თემის (მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები და სხვა) მხარდაჭერა მომხდართან დაკავშირებით. თუ ოჯახი მონობდებულა, რომ დამალოს მომხდარი, თუ ოჯახს ეშინია, რომ მომხდარის გახმაურებას უფრო ცუდი შედეგები მოყვება, ეს აისახება ბავშვზე და დაკითხვის/

გამოკითხვის დროს ის უფრო მეტად იქნება ჩაკეტილი.

- **მიჯაჭვულობა** - სანდო თუ არასანდო მიჯაჭვულობა აქვს ბავშვს ჩამოყალიბებული მშობელთან ან სხვა მზრუნველთან ადრეულ ასაკში, განსაზღვრავს ბავშვის მიერ მისი შთაბეჭდილებების და გამოცდილების შეფასების ხარისხს, მეხსიერებაში მათი შენახვა-დალაგების ტიპს და გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოხდება შემდგომში ამ შთაბეჭდილებების და გამოცდილების გახსენება.
- **ემოციური ფაქტორები** - შიში, შფოთვა. ბავშვს შეიძლება ემინოდეს, რომ არ დაუჯერებენ ან რომ მომხდარში მას დაადანაშაულებენ და დასჯიან. ეს ასევე შეიძლება იყოს ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრის შიში, კონტროლის დაკარგვის და სიტუაციის “მძევლად” ქცევის შიში, ოჯახის წევრების გაბრაზების შიში და ასე შემდეგ.
- **პიროვნული ფაქტორები** - სიჯიუტე, უნდობლობა, ტყუილები და სხვა. ზოგი ბავშვი ჯიუტია თავისი ბუნებით. ზოგი პირიქით, ძალიან დამყოლია. ზოგიერთი ბავშვი ადვილად მიმნდობია, ზოგიც ფრთხილია. ზოგს ფანტაზიორობა, ამბების გამოგონება უყვარს. ზოგი, პირიქით, ტყუილს ყოველთვის სიმართლის თქმას ამჯობინებს და სხვა.
- **ტემპერამენტის თავისებურებები** - იმპულსურობა, ფეთქებადობა, უარყოფითი ემოციებისკენ მიდრეკილება, ან პირიქით, ფლეგმატურობა, სიმშვიდე, უფრო დადებითი ემოციებისკენ მიდრეკილება და სხვა.
- **ხასიათის თავისებურებები** - ექსტრავერსია-ინტრავერსია. ექსტრავერტული ხასიათის ბავშვი ურთიერთობას ადვილად ამყარებს, უფრო ბევრს და თავისუფლად საუბრობს. ხოლო ინტრავერტი უფრო ჩაკეტილია, ურთიერთობის დამყარება უჭირს, სიტყვაძუნწი, გაუბედავი და მორცხვია.

ინდივიდუალური მახასიათებლები დიდწილად განსაზღვრავს, თუ რატომ სჭირდება ზოგიერთ ბავშვს უფრო მეტი დრო ასალაპარაკებლად, ან რატომ არის დაკითხვის დროს “ჩაკეტილი”.

## წარმოსახვა (ფანტაზია)

ექვს წელზე მეტი ასაკის ბავშვებს, მოზრდილთა მსგავსად, შეუძლიათ წარმოდგენილის და რეალურად მომხდარის ერთმანეთისგან განსხვავება. უფრო პატარები ამას შედარებით ძნელად ახერხებენ. იმის მიუხედავად, რომ პატარა ბავშვებს, ზოგადად, უჭირთ რეალურის და წარმოსახულის გამიჯვნა, კვლევებმა აჩვენა, რომ 3.5 წლის ბავშვებიც კი, გარკვეულ შემთხვევებში, სწორად განარჩევენ მათ - მაგალითად, მცირეწლოვან ბავშვებს შეუძლიათ წარმოსახული ობიექტების ცალკეული მახასიათებლების გაგება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ბავშვი თამაშობს წარმოსახვით მეგობართან ან მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟთან, ისინი იშვიათად მოიხსენიებენ მათ, როგორც „წამდვილს“.

### დამკითხველთათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ:

- ფანტაზიები და სცენების გათამაშებები ბავშვობის ნორმალური ასპექტებია. რაიმეს წარმოდგენა და მასთან დაკავშირებული თამაშები, ბავშვის განვითარების თვალსაზრისით, სრულიად ნორმალურია.
- ის, რომ ბავშვებს შეიძლება სჯეროდეთ არარსებული პერსონაჟის (მაგალითად, თოვლის ბაბუის, ბეტმენის და სხვა), ან თამაშობდნენ წარმოსახვით მეგობრებთან, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ ზუსტი და სარწმუნო ინფორმაციის მოწოდება თავიანთი გამოცდილების შესახებ.
- ბავშვები უფრო ხშირად იგონებენ ისტორიებს კარგი მოვლენების შესახებ (საჭაერო ბურთით სეირნობა), ვიდრე უარყოფითების (წაქცევის შემდეგ ნაკერების დადება) შესახებ. ამგვარი მიდრეკილება მათ რეალობის და ფანტაზიის ერთმანეთისგან გარჩევის პროცესშიც ახასიათებთ. ეს მნიშვნელოვანია გასააზრებლად: ბავშვები სახალისო ფანტასტიკურ შემთხვევებში უფრო ერთვებიან, იმიტომ რომ მათ მოსწონთ თამაში, ეს მათთვის გასართობი და საინტერესოა. ამიტომაც მიჩნეულია, რომ როცა ბავშვი მასზე განხორციელებული ძალადობის შესახებ ყვება, უმეტესწილად ის არ „ფანტაზიორობს“, იშვიათად ტყუის და უმჯობესია, რომ მას დაუფხვროთ.
- ბავშვები ცრუ ინფორმაციას იმ გამოგონილი პერსონაჟების შესახებ გვანვდიან, რომელთა არსებობაც თავად სჯერათ.

განცდილი ან ნანახი ძალადობის შესახებ ბავშვების მონათხრობში წარმოსახული ელემენტების არსებობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს დაკითხვის/გამოკითხვის ოთახში არსებული რეკვიზიტებით, ცალკეული საგნებით (თოჯინები, სათამაშოები), ან დამკითხველის/გამომკითხველის მიერ გამოყენებული შეთავაზებებით - „წარმოიდგინე, რომ...“, „თითქოს...“ და სხვა.

ამიტომაც, გამომკითხველები ვალდებული არიან, არ გამოიყენონ ამგვარი

მიმართვები. დამკითხველებმა/გამომკითხველებმა აგრეთვე თავი უნდა შეიკავონ რაიმეს წარმოდგენის და ვიზუალიზაციის თხოვნისაგან, რადგან, როგორც კვლევებმა აჩვენა, ამგვარი ქმედება ბავშვებში ცრუ „გახსენებებს“ იწვევს.

**რაც უფრო მეტად უჭირთ ბავშვებს რეალობის და წარმოსახულის გამიჯვნა, მით მეტია მათი ჩაგონებადობის ხარისხი.**

## მეხსიერება

მეხსიერების მახასიათებლები დიდწილად განსაზღვრავენ იმას, თუ რის დახსომება და მოყოლა შეუძლია ბავშვს. დამკითხველები/გამომკითხველები მათ უნდა ერკვეოდნენ იმაში, თუ როგორ მუშაობს ბავშვის მეხსიერება და შეეძლოთ ბავშვისადმი არსებული მოლოდინის განსაზღვრა. როგორც ცნობილია, ზრდასრულთა მეხსიერებაც კი, როცა საქმე ტრავმატულ, სტრესულ გამოცდილებას ეხება, არ არის ვიდეოფირი, რომელიც სრულად და დეტალურად აღბეჭდავს მომხდარს. მეხსიერებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც ხშირად არ შეესატყვისება საგამოძიებო პროცესის მოთხოვნებს კონკრეტული და დეტალური მტკიცებულებების მოპოვების აუცილებლობის შესახებ.

მეხსიერების შესახებ ჩატარებული მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევების შედეგად დადგინდა ბავშვის მეხსიერების ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა ცოდნა დამკითხველს/გამომკითხველს დაეხმარება როგორც ბავშვის ჩვენების სიზუსტის შეფასებაში, ასევე, მის მიერ გამოყენებული დაკითხვის მეთოდების დაცვასა და შესაძლო წარუმატებლობის მიზეზების ახსნაშიც.

### კვლევებით დადასტურებულია, რომ:

- მეხსიერება ბავშვს აქვს უკვე ჩვილობის ასაკში. ბავშვის ზრდასთან ერთად მეხსიერებაში ინფორმაციის შენახვის უნარი უმჯობესდება.
- 4 წლის ბავშვს შეიძლება ნაკლები ახსოვდეს, მაგრამ დახსომებულის სიზუსტის ხარისხი შეიძლება დიდისას არ ჩამოუვარდებოდეს.
- ბავშვებს უფრო სწრაფად ავინყდებათ, რადგან ისინი ასოციაციების დამყარებას ვერ ახერხებენ, თავიანთი მწირი გამოცდილების გამო.
- ვინაიდან მეხსიერების არაერთი სახე არსებობს, გასაკვირი არაა, რომ ზოგ ბავშვს უკეთ ამახსოვრდება მხედველობით მიღებული შთაბეჭდილებები, ზოგს - სმენით, ზოგს - შეხებით, ზოგს - გემოთი ან ყნოსვით.

- სკოლამდელ ბავშვებს მოქმედებები უკეთ ამახსოვრდებათ, ვიდრე საგნები.
- ბავშვისთვის უფრო ადვილია გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობის მქონე მოვლენების დამახსოვრება.
- ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვის მეხსიერება სულ უფრო უმჯობესდება. ბავშვებს შეუძლიათ სულ უფრო მეტი გაიხსენონ და უფრო დიდხანსაც ახსოვდეთ.
- ასაკის მატებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება ბავშვის უნარი, დაახარისხოს და მნიშვნელობა მიანიჭოს ინფორმაციას.
- თავისუფალი გახსენებით და თხრობით ბავშვი მეხსიერებაში უფრო მეტ და უფრო ზუსტ ინფორმაციას აღადგენს, ვიდრე კითხვებზე პასუხების გაცემით.

**ბავშვობის პერიოდში მეხსიერება მნიშვნელოვნად ვითარდება. ბავშვებს შეუძლიათ მეტი გაიხსენონ, თუკი ამისთვის გარკვეული პირობები არსებობს.**

## **ბავშვები შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობებით და განვითარების დარღვევებით**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უფრო მონყვლადნი არიან ძალადობის მიმართ, ვიდრე მათი სათანადოდ განვითარებული თანატოლები. თუმცა, მათზე ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების რაოდენობა დაბალია. სისხლის სამართლის სისტემაში მათი მონაწილეობაც იშვიათობაა. სხვა ფაქტორთა შორის, ეს განპირობებულია იმით, რომ:

- ბავშვს ხშირად აღენიშნება სირთულეები, რის გამოც ის ვერ ახერხებს, რომ მოუყვეს ვინმეს ძალადობის შესახებ;
- ძალინ ხშირად ძალადობის ამოცნობა არ ხდება, რადგან არსებული ნიშნები, ხშირად ბავშვის ზოგადი მდგომარეობის მიზეზად ითვლება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის გამოკითხვა ბავშვის უნარ-შესაძლებლობების და ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

**მსუბუქი და საშუალო ინტელექტუალური ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებს შეუძლიათ** გაიხსენონ გამოძიებისათვის გამოსადეგი ინფორმაცია. ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მენტალური ასაკი ოპტიმალური სახელმძღვანელო ორიენტირია.

**დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს** მეტწილად ენასთან, სიტყვიერ გამოცემასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ; აგრეთვე - ვერბალური მოკლევადიანი მეხსიერების მხრივ. ხშირად რთულია მათი გაგებაც, ექსპრესიული, გამომხატველობითი ენის გამო. თუმცა ვიზუალური და სივრცითი დეტალების გახსენება მათი შედარებით ძლიერი მხარეა.

**აუტისტური სპექტრის ბავშვებს**, ენასთან და სოციალურ აღქმასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, უჭირთ მომხდარის პირადი თუ სოციალური ასპექტების გახსენება და აზრის გამოხატვა. მათთვის გამომკითხველის შეცდომაში შეყვანაც რთულია. უილიამსის სინდრომის მქონე ბავშვებს შედარებით განვითარებული ენობრივი უნარები აქვთ, თუმცა ვიზუალური და სივრცითი დეტალების თუ ცნებების გაგებაც და გახსენებაც უჭირთ.

შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების და განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების დაკითხვისას/გამოკითხვისას **მნიშვნელოვანია:**

- ბავშვის დაკითხვა დაიგეგმოს მის შეზღუდვებსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით.
- დაკითხვა/გამოკითხვა შედგეს მარტივი, მოკლე კითხვებით.
- მნიშვნელობა მიენიჭოს თავისუფალ გახსენებას, რომელიც მეტწილად სწორია.
- თავიდან იყოს აცილებული კითხვების გამეორება.
- შესაბამისი მხარდაჭერა და ადაპტაციები, მაგალითად, უფრო ხშირი შესვენებები.

**დამკითხველებმა არ უნდა დაუსვან ბავშვს კითხვები, რომლებიც ბავშვის გონებრივ და ფსიქიკურ შესაძლებლობებს აღემატება.**

## თავი 2

### სტრესული ფაქტორები დაკითხვის/ გამოკითხვის დროს

პროფესიონალებმა, რომლებიც ბავშვის დაკითხვას/გამოკითხვას ატარებენ, ერთი მხრივ, ბავშვისგან რაც შეიძლება სრული და სარწმუნო ინფორმაცია უნდა მოიპოვონ, ხოლო მეორე მხრივ, ისინი ყურადღებით უნდა იყვნენ, რათა „მეორე ქრილობა“ არ მიაყენონ ბავშვს. ამიტომ საჭიროა, რომ პროფესიონალები ერკვეოდნენ, რას შეიძლება განიცდიდეს ბავშვი დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში, აცნობიერებდნენ გადატანილი ძალადობის გავლენებს ბავშვის მდგომარეობასა და განვითარებაზე.

### სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები

- ბავშვის წინასწარი დამოკიდებულება დაკითხვის/გამოკითხვის პროცესისადმი, ამ პროცესის მისეული აღქმა ყოველთვის აისახება გამოკითხვის წარმატება-წარუმატებლობაზე, დამკითხველის/გამომკითხველის ქცევისგან დამოუკიდებლად. ამიტომ, თუკი ბავშვს დაკითხვის/გამოკითხვის დასაწყისიდანვე განუმარტავთ, - რა პროცესია ეს, რა მიზანი აქვს და რა მოხდება - ეს შეამცირებს ბავშვის დაძაბულობას, რაც დადებითად აისახება მოწოდებული ინფორმაციის ხარისხზე.
- ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვებთან საჭიროა დაკითხვა/გამოკითხვა დაიწყოს ბავშვის დარწმუნებით, რომ დაკითხვის/გამოკითხვის განმავლობაში მოულოდნელი და სახიფათო არაფერი მოხდება. ეს ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება ბავშვის დაძაბულობის მოსახსნელად, შფოთვის შესამცირებლად.
- ბავშვთან საუბრისას გაითვალისწინეთ გაითვალისწინოს მისი ასაკი და განვითარების სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვმა შეიძლება ვერ გაიგოს, სათანადოდ ვერ გაიაზროს თქვენი ნათქვამი, რაც მის დაძაბულობას, შებოჭილობას კიდევ უფრო გაზრდის და შესაბამისად გაიზრდება მათი ჩაგონებადობაც.

### ემოციური გარემო

- დაკითხვის/გამოკითხვის დროს, როდესაც ბავშვი „გაიხსნება“, ხშირად შეინიშნება დამკითხველების/გამომკითხველების კმაყოფილება, სიხარუ-

ლი. უმეტესწილად, ამ დროს დამკითხველის/გამომკითხველის მოტივაცია არის ბავშვის მხარდაჭერა, საუბრისთვის ნახალისება, რომელსაც მომხდარის შესახებ მოყოლა უჭირს. თუმცა, უმჯობესია, რომ ამგვარი ნახალისებებისგან თავი შეიკავოთ.

- როდესაც ბავშვი სასურველ ინფორმაციას არ განვდით, თქვენ შესაძლოა, გამოხატოთ უკმაყოფილება, რაც ბავშვის სტრესული მდგომარეობის გამომწვევი გახდება. მნიშვნელოვანია, რომ შეინარჩუნოთ ნეიტრალური პოზიცია მთელი დაკითხვის/გამომკითხვის მანძილზე. ეს არ ნიშნავს, რომ დისტანცირდეთ ბავშვისგან და რეაგირება არ მოახდინოთ მის საჭიროებებზე და ინიციატივებზე.
- თუკი ხედავთ, რომ ბავშვს შიშის, შფოთვის, დაძაბულობის ნიშნები აქვს, ცხადია, არ უნდა მოახდინოთ ამ ნიშნების იგნორირება და არ უნდა შეეცადოთ, „რადაც არ უნდა დაგიჯდეთ,“ ბოლომდე მიიყვანოთ დაკითხვა/გამომკითხვა. ამ ნიშნებზე სათანადო, ადეკვატური რეაგირების გარეშე, ბავშვს მზარდი ემოციური დისკომფორტი შეექმნება და ეს უარყოფითად იმოქმედებს დაკითხვის/გამომკითხვის შედეგზე.

## გახსენება - მოყოლა

- ბევრმა ბავშვმა ისეთი რამ გადაიტანა, რაზეც საუბარი არ სურს. მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მათ რცხვენიათ ან გადატანილის გახსენება მათთვის ემოციურად მეტად დამთრგუნველია. ბავშვები ასევე შიშობენ, რომ მომხდარის გამხელამ შეიძლება გართულებები გამოიწვიოს. თქვენ უნდა განსაზღვროთ, ჩამოთვლილთაგან რომელ გარემოებასთან გაქვთ საქმე კონკრეტულ შემთხვევაში, რის მიღწევაც შესაძლებელია ბავშვისთვის შეკითხვის დასმით: „შენ არ გახსოვს თუ არ გინდა ამაზე საუბარი?“

## სტერეოტიპები

- ხშირად, როდესაც ბავშვი ასახელებს პირს, რომელმაც მის მიმართ ძალადობა განახორციელა, დამკითხველი/გამომკითხველი ქცევით ან სიტყვიერად გამოხატავს მოძალადისადმი თავის შეხედულებას: „ეს ცუდი ადამიანია“, „მას შენთვის ასეთი ცუდი რამ არ უნდა გაეკეთებინა“. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მიერ მოძალადის დასახელების საპასუხოდ, ნეიტრალურობა შეინარჩუნოთ და თქვენი მოსაზრებები არ გამოთქვათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეჭვმიტანილს ეხება, რომლის ბრალეულობა ჯერ დამტკიცებული არ არის.

## სტრესი, დრო და მეხსიერება

- ძლიერი სტრესის დროს ყურადღების „შევიწროება“ ხდება: ინფორმაციის აღქმა იზღუდება, აღიქმება მხოლოდ უშუალო საფრთხე. ამდენად, ბავშვი უფრო ადვილად გაიხსენებს მხოლოდ ერთ, ცენტრალურ ობიექტს ან მისთვის შიშისმომგვრელ დეტალს და მის მეხსიერებაში ნაკლებად იქნება ინფორმაცია სხვა დეტალებთან დაკავშირებით.
- ქრონიკულმა სტრესმა ბავშვებში შეიძლება გავლენა მოახდინოს თავის ტვინის განვითარებაზე და მისი სტრუქტურის შეცვლა გამოიწვიოს, რაც უარყოფითად აისახება ბავშვის მეხსიერების განვითარებაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ქრონიკული ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს.
- ბავშვს შეიძლება მომხდარიან შესახებ სწორი ახალი დეტალები ზოგჯერ დღეების, კვირების ან წლების შემდეგაც კი გაახსენდეს. მხოლოდ იმის გამო, რომ ბავშვმა ადრე მიცემულ ჩვენებებს ახალი დეტალები დაამატა, მისი ჩვენება ნაკლებად სარწმუნო არ უნდა გახდეს, რადგან დროის დინებასთან ერთად, გარკვეული ცვლილებები ადამიანის მეხსიერებისთვის სრულიად ბუნებრივია.

# თავი 3

## ბავშვთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები

### ბავშვთან საუბრის წარმართვის თავისებურებები

- მეტად მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალმა, ბავშვთან ურთიერთობისას, ბავშვისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემო შექმნას. რასაკვირველია, მომხდარის ყველა დეტალის გასარკვევად, პროფესიონალმა მაშინვე არ უნდა მოუწყოს ბავშვს „დაკითხვა“. ბავშვს საშუალება უნდა მიეცეს, რომ მისთვის გასაგებ ენაზე ისაუბროს. ამასთან, მოზრდილმაც უნდა გამოიყენოს ბავშვის ლექსიკა. ხშირად ბავშვები უესტების ენაზე გადმოსცემენ გარკვეულ ინფორმაციას, რაც ასევე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.
- ხშირად ბავშვები მზად არიან რაიმე მოყვენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოზრდილი შეპირდება, რომ ბავშვის მონათხრობს საიდუმლოდ შეინახავს. ამ მხრივ, ბავშვის ნდობის შესანარჩუნებლად, საყურადღებოა, რომ მოზრდილი არ შეპირდეს ისეთ რამეს, რასაც ის არ გააკეთებს.
- ბავშვთან გასაუბრების დაწყება სასურველია მისი გაცნობით და საუბრით იმის შესახებ, რის კეთება უყვარს ყველაზე მეტად, ვისთან ერთად ცხოვრობს, მეგობრებისა და ბალის/სკოლის შესახებ მოყოლით და სხვა. სექსუალურ ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში, კითხვები დიდი სიფრთხილით უნდა დაისვას, ამ საკითხში კონკრეტული პროფესიონალის უფლებამოსილების ჩარჩოების გათვალისწინებით, აგრეთვე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გათვალისწინებით.
- ურთიერთობის დამყარებისთვის საუბარი დაახლოებით 10 წუთი შეიძლება გაგრძელდეს, რომლის დროსაც პროფესიონალი იღებს ინფორმაციას ბავშვის პიროვნების, მისი ოჯახის, მეგობრების, ინტერესების შესახებ და არ სვამს კითხვებს მომხდარი ან სავარაუდო ძალადობის შესახებ. ეს ბავშვს აგრძობინებს, რომ მასთან მოსაუბრე ადამიანი დაინტერესებულია მისით, როგორც პიროვნებით და არა მხოლოდ როგორც ძალადობის მსხვერპლით. ამგვარი ინტერესი დაეხმარება ბავშვს, რომ პროფესიონალის მიმართ ნდობა გაუჩნდეს.

### ბავშვთან საუბრისას:

- გამოიჩინეთ ყურადღება და თანაგრძნობა;
- გამოიყენეთ მოკლე კითხვები და წინადადებები;
- გამოიყენეთ მარტივი და ბავშვისთვის გასაგები გრამატიკული კონსტრუქცი-

ციები. მაგალითად, ბევრ ბავშვს არ ესმის აბსტრაქტული ცნებები, სიტყვების გადატანითი მნიშვნელობები, ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადებები და სხვა;

- არ გამოიყენოთ პროფესიული ტერმინები;
- სასქესო ორგანოებს ის სახელები უნოდეთ, რასაც ბავშვი უნოდებს მათ;
- შეეცადეთ ნაკლებად იხმაროთ ნაცვალსახელები;
- ყველაზე მთავარი დეტალები და ფაქტები, უმჯობესია, ჩაინეროთ მაშინვე, საუბრის შემდეგ.

მზად იყავით იმისთვის, რომ საუბრის დასაწყისში ბავშვმა შეიძლება არაფერი გითხრათ, რაც საკმაოდ ხშირად ხდება, რადგან ბავშვს უძნელდება თავისი „საიდუმლოს გამხელა“. უთხარით, რომ თქვენ იცით, რამდენად ძნელია მისთვის ამ თემაზე საუბარი.

## როდესაც ბავშვი განსაკუთრებით „ჩაკეტილია“

- **წუხილის გამოხატვა:** შენზე ვწუხვარ/ვფიქრობ, რაღაც შეგემთხვა. (განზოგადებული ფორმა: „ჩემი მოვალეობაა ბავშვებზე ზრუნვა და მე განვიცდი, როცა მათ რაღაც ემართებათ“).
- **ასხნა:** შეგიძლია მენდო და მომიყვე რაც მოხდა. (განზოგადებული ფორმა: „ბავშვებს შეუძლიათ მენდონ და მომიყვნენ, თუ რა შეემთხვათ“).
- **ბავშვისგან პასუხისმგებლობის ტვირთის ჩამოხსნა:** თუ რაიმე მოხდა, იცოდე, რომ ეს შენი ბრალი არ არის. (განზოგადებული ფორმა: „როცა ასე ხდება, ეს ბავშვის ბრალი არ არის“).

**შენიშვნა:** ეს მეთოდები მხოლოდ მაშინ უნდა იყოს გამოყენებული, როცა ძალადობის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებები არსებობს.

## მოერიდეთ:

- ფიზიკურ კონტაქტს, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან;
- შიშის, ზიზლის ან დაეჭვების გამოხატველ ემოციურ რეაქციებს ბავშვის მონათხრობზე;
- გრძნობების მძაფრად გამოხატვას, იმის მიუხედავად, რასაც არ უნდა ყვებოდეს ბავშვი;

- პასუხისმგებლობის მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას;
- სხვა სპეციალისტების (მაგალითად, ფსიქოლოგის) ფუნქციების საკუთარ თავზე აღების მცდელობას;
- ბავშვის მონათხრობის ინტერპრეტირებას.

ურთიერთობის პრინციპების დაცვა და ბავშვთან ურთიერთგაგების დამყარებისთვის დროის დათმობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად წარმატებული იქნება დაკითხვის/გამოკითხვის არსებითი ნაწილი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა საქმე ჩუმ, „ჯიუტ“ ან „ჩაკეტილ“ ბავშვებს ეხება.

# თავი 4

## შაკითხვების ტიპები

### რატომ არის მნიშვნელოვანი შეკითხვების ტიპებზე ყურადღების გამახვილება?

შეკითხვების ტიპებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მტკივნეულ თემაზე საუბრისას მოხდეს:

- ბავშვის სტრესის მინიმუმამდე დაყვანა,
- გადატანილი ძალადობის შესახებ ბავშვისგან მაქსიმალურად გასაგები და სარწმუნო ინფორმაციის მიღება
- იმ ფაქტორების მინიმალიზება, რომელთა გამოც ბავშვისგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება „დაბინძურებული“ იყოს.

### დაკითხვის/გამოკითხვისას გამოყენებული შეკითხვების ტიპები

#### 1. ღია მიმართვები

ამგვარი მიმართვები ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალებას აძლევს და ბავშვისგან მიღებული ინფორმაციის სანდოობას მნიშვნელოვნად ზრდის. არსებობს ორი მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ნებისმიერმა გამომკითხველმა ხშირად უნდა გამოიყენოს: „მითხარი...“, „მომიყევი...“. მათი მეშვეობით ბავშვს საუბრისთვის, თხრობისთვის ვინვევთ.

ზოგიერთი დამკითხველი/გამომკითხველი ამგვარ მიმართვებს ზოგჯერ ანაცვლებს მიმართვით: „შეგიძლია მითხრა?“ ან „შეგიძლია მომიყევი?“ შედეგად, ღია მიმართვები გადაიქცევა დახურულ შეკითხვებად. მაგალითად, შედარებისთვის: „მითხარი, რა მოხდა?“ ... „კაცმა თმა მომქაჩა და პირზე ხელი ამაფარა“; „შეგიძლია მითხრა, რა მოხდა“... „კი“! ამდენად, უმჯობესია, „შეგიძლია, მომიყევი?...“ მიმართვის ფორმისგან თავი შევიკავოთ.

**დამაზუსტებელი/შემავსებელი მიმართვები** - დასაწყისში, ღია მიმართვების პასუხად, ბავშვმა თავისუფალი თხრობით შეიძლება ინფორმაცია არასრულად გადმოსცეს. მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ბავშვმა თხრობა დაასრულა, შეგიძლიათ გამოიყენოთ დამაზუსტებელი/შემავსებელი მიმართვები, რომლებიც ბავშვს გადმოცემული ინფორმაციის შევსების საშუალებას მისცემს: „უფრო მეტი მომიყევი/მითხარი...“, „შემდეგ რა მოხდა.“, „განაგრძე“ და სხვა.

## 2. პირდაპირი კითხვები

ბავშვის გამოკითხვისას დგება მომენტი, როდესაც ცხადი ხდება, რომ არსებობს ინფორმაციის დეფიციტი, რომლის შევსება ღია მიმართების გამოყენებით ვეღარ ხდება. ამ დროს საჭიროა პირდაპირი შეკითხვების გამოყენება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება შეკითხვები, რომლებიც იწყება კითხვითი სახელებით: **რა, ვინ, სად, როდის, როგორ, რატომ.**

**„რატომ“** შეკითხვების გამოყენება განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამგვარ შეკითხვებზე ბავშვმა უმეტესწილად პასუხი არ იცის და მან უნდა გამოიცნოს („რატომ გააკეთა X-მა ეს?“ - ბავშვმა უნდა გამოიცნოს X-ის განზრახვა); ამას გარდა, „რატომ“ შეკითხვები ფარულ დადანაშაულებას შეიცავს („რატომ არ დაუძახე დედას?“ - ბავშვმა თითქოს თავი უნდა იმართლოს). ბავშვი აღიქვამს, რომ მას რალაცაში ადანაშაულებენ.

**„როდის“** შეკითხვების შემთხვევაშიც გარკვეული სირთულეები იქმნება. მცირეწლოვან ბავშვებს უჭირთ დროის კონკრეტული პერიოდების დასახელება. ეს სიძნელე აღინიშნება შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებშიც, როდესაც საქმე ეხება დიდი ხნის წინ მოხდარ შემთხვევას. ამიტომ იმის დასადგენად, თუ როდის მოხდა ესა თუ ის შემთხვევა, უმჯობესია გაირკვეს, მოხდა ეს შემთხვევა ბავშვისთვის ცნობილ რომელიმე მოვლენამდე, მის შემდეგ თუ დაახლოებით იმავე დროს.

## 3. დახურული კითხვები

კითხვები, რომლებიც საჭიროებენ პასუხს „კი/არა“ და შეკითხვები პასუხების ვარიანტებით („ის შეგეხო“ — „კი/არა“, „შენ იწევი, იჯექი თუ იდექი?“ - ბავშვმა უნდა ამოირჩიოს პასუხი).

ბავშვისთვის დახურული კითხვების დასმა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ბავშვების უმეტესობას მზაობა აქვს, რომ აუცილებლად პასუხი გასცეს ამგვარ შეკითხვებზე, მაშინაც კი, როცა პასუხი არ იცინ. ამასთან, ბევრი ბავშვი მიდრეკილია დათანხმებისკენ და „კი“ პასუხების გაცემისკენ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დახურულ შეკითხვებზე დადებითი პასუხების შემთხვევაში, მომდევნო შეკითხვა ღია მიმართვის ფორმით იყოს ჩამოყალიბებული: „მითხარი, რა თქვა კაცმა“. ამასთან, პასუხების ვარიანტებიანი კითხვის დასმისას, ბავშვებს მიდრეკილება აქვთ, რომ აირჩიონ პირველი ან ბოლო ვარიანტი.

დახურული კითხვები ასევე შეიძლება ბავშვისთვის ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი იყოს მათი ხშირი გამოვლენის შემთხვევაში. მაგალითად, თუ ბავშვმა ერთსა და

იმავე დახურულ კითხვაზე რამდენჯერმე გასცა დადებითი პასუხი და მას კვლავ უსვამენ ამ კითხვას, ბავშვი მიიჩნევს, რომ ის არასწორად პასუხობს ან მისგან სხვა პასუხს მოელიან და პასუხს შეცვლის.


#### 4. ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი კითხვები

ჩამაგონებელი/მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენებისას გამომკითხველი ასახელებს დეტალს, მოვლენას ან ქმედებას, რომელიც ბავშვს არ უხსენებია და მის დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს., რითაც ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე. მაგალითად, „ის შეგეხო სხეულის რომელიმე ნაწილზე?“ ან „ის სხეულზე შეგეხო, ხომ ასეა?“

ამგვარი შეკითხვებით მიღებული პასუხების სისწორე სერიოზულ ეჭვს იწვევს და ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას მნიშვნელოვნად ამცირებს. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ბავშვთან საუბრისას ამგვარი კითხვები არ იყოს დასმული.

#### შეკითხვების თანმიმდევრობა

ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის დროს შეკითხვათა თანმიმდევრობა „ძაბრისებური“ პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული. „ძაბრის“ ფართო ყელი, ანუ დაკითხვის/გამოკითხვის დასაწყისი, უნდა მოიცავდეს რაც შეიძლება მეტ ღია და დამაზუსტებელ მიმართვებს და მხოლოდ მათი ამონაზღვრის შემდეგ არის შესაძლებელი შეკითხვების სხვა ტიპებზე გადასვლა. ვექტორზე შეკითხვები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ღია კითხვები ვექტორის დასაწყისში, დახურული კითხვები - ვექტორის ბოლოს.



დაკითხვა/გამოკითხვა წარმატებული იქნება მაშინ, როდესაც ინფორმაციის უმეტესი ნაწილი მოდის ბავშვისგან და არა დამკითხველისგან/გამომკითხველისგან. როგორც სურათზე ჩანს, ბავშვისგან ინფორმაციის მიღება ხდება სწორედ ღია მიმართევებით და დამაზუსტებელი კითხვებით. ხოლო როცა დამკითხველი/გამომკითხველი თანდათანობით გადადის პირდაპირ და დახურულ/პასუხების ვარიანტიდან კითხვებზე, მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია სჭარბობს ბავშვის მიერ მონოდებულს.

„სარისკო“ კითხვების გამოყენების მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ დამკითხველები/გამომკითხველები, რიგ შემთხვევებში, როდესაც შემთხვევის ზოგადი სურათი ცნობილია, მიიჩნევენ, რომ ვერ მიიღეს ბავშვისგან ამომწურავი, დეტალური ინფორმაცია და მიმანიშნებელი კითხვებით ცდილობენ მეტი მტკიცებულების მოპოვებას.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საუკეთესო გამოსავალია შესვენება დაკითხვის/გამოკითხვის დროს, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს ინფორმაციის დეფიციტი და გაირკვეს, ღია მიმართვების ყველა ვარიანტი იყო გამოყენებული თუ არა ამ დეფიციტის შესავსებად. შემდეგ დაკითხვა/გამოკითხვა გაგრძელდება დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაზე მიმართული, მართებულად ფორმულირებული შეკითხვებით.

**გამოკითხვისას ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალება უნდა მიეცეს, რაც შეიძლება მეტი ღია და დამაზუსტებელი მიმართვების გამოყენებით და მხოლოდ მათი ამომწურვის შემდეგ მოხდეს შეკითხვების სხვა ტიპებზე გადასვლა. სანდოობის თვალსაზრისით, ღია და დამაზუსტებელი მიმართვებით მოპოვებული ინფორმაცია.**

# თავი 5

## დაკითხვის/გამოკითხვის დაგეგმვა

დაგეგმვა დაკითხვის/გამოკითხვის პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტია. დაგეგმვაში შედის ბავშვის და სავარაუდო სამართალდარღვევის შესახებ არსებული ინფორმაციის შეგროვება და შეფასება. დაგეგმვის წყალობით შესაძლებელია დაკითხვის/გამოკითხვის მიზნების დასახვა და დაკითხვის/გამოკითხვის მსვლელობის განსაზღვრა.

### ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაკითხვის/ გამოკითხვის დასაგეგმად

- ბავშვის ასაკი და სქესი;
- ბავშვის კულტურა, რელიგია, ეთნოსი, სალაპარაკო ენა;
- ბავშვის შესაძლებლობები, მისი განვითარების დონიდან გამომდინარე;
- ბავშვის ამჟამინდელი ემოციური მდგომარეობა;
- ნებისმიერი სახის ფსიქიკური თუ ფიზიკური შეზღუდვები, რომლებიც სპეციალისტის ჩართვას/ყურადღებას საჭიროებს;
- ბავშვის ოჯახი და ცხოვრების პირობები (ძალადობა ოჯახში, განქორწინება, დევნილობა, სიკვდილი, თავშესაფრის არქონა, ავადმყოფობები/ შრომისუნარიანობის დაკარგვა, ასევე - ბავშვის ურთიერთობა ოჯახის წევრებთან;
- ბავშვის დღის რეჟიმი, ყოველდღიური პროცედურები, ბანაობა, ძილი, კვება და სხვა;
- დეტალური ინფორმაცია წინარედ ჩატარებული ღონისძიებების თუ განუხლები დახმარების (თერაპია, კონსულტაცია) შესახებ;
- განსაკუთრებული გარემოებები (მაგალითად, ადრე განცხადებულის უარყოფა, დამკითხველის/გამომკითხველის შეცვლა და სხვა).

### დაკითხვის/გამოკითხვის ჩატარების ადგილი

- დაკითხვის/გამოკითხვის ოთახი უნდა იყოს ცალკე, იზოლირებული, ფონურ ხმაურს მოკლებული. დაკითხვა/გამოკითხვა უნდა ჩატარდეს ისეთ

ადგილზე, სადაც ბავშვი თავს კომფორტულად და დაცულად იგრძნობს. გარემო (დეკორაცია) ბავშვზე მორგებული უნდა იყოს, თუმცა ზედმეტ ყურადღებას არ უნდა იპყრობდეს.

## **დაკითხვის/გამოკითხვის დრო**

- დაკითხვის/გამოკითხვის ჩასატარებლად დრო ისე უნდა შეირჩეს, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის დღის რეჟიმი (ჭამის დრო, ძილის დრო, ბანაობა და სხვა), რელიგიური რიტუალები (ლოცვის დრო, რელიგიური დღესასწაულები). სასურველია, საჭირო არ გახდეს ბავშვის გამოყვანა სკოლიდან ან სხვა ადგილებიდან (მაგალითად, წრეები, სპორტული სექციები), სადაც მათი არყოფნა დაეჭვებას, უხერხულობას გამოიწვევს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, როცა საქმე შეიძლება ეხებოდეს ბავშვის კეთილდღეობას და უსაფრთხოებას, დაკითხვა/გამოკითხვა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს.

## **დაკითხვის/გამოკითხვის რაოდენობა და ხანგრძლივობა**

- სასურველია, თუ მთელ ინფორმაციას ერთი დაკითხვიდან/გამოკითხვიდან მოიპოვებთ, რადგან ტრავმული სიტუაციის ბევრჯერ გახსენება უკიდურესად უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვზე და მის ჩაგონებადობასაც გაზრდის. როდესაც აუცილებელია ერთზე მეტი დაკითხვა/გამოკითხვის ჩატარება, მაშინ ისინი უნდა დაიგეგმოს როგორც სამართლებრივი მოთხოვნების, აგრეთვე ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით და ბავშვი ამის შესახებ წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.
- კარგი იქნება, თუ ბავშვსაც და დამკითხველსაც/გამომკითხველსაც ექნებათ მიახლოებითი წარმოდგენა გამოკითხვის ხანგრძლივობაზე, რაც მეტწილად დამოკიდებულია თავად ბავშვზე - მის უნარებზე, მოტივაციაზე, საჭიროებებზე.
- ბავშვს წინასწარ განუმარტეთ, დაახლოებით როდის იქნება შესვენება. დაკითხვა/გამოკითხვა არ უნდა გაჭიანურდეს, როცა ბავშვი დაღლილი და სტრესის ნიშნებს ავლენს.

## **დაკითხვაზე/გამოკითხვაზე დამსწრე სხვა პირები**

- აუცილებელ მინიმუმამდე დაიყვანეთ დაკითხვაზე/გამოკითხვაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. საუკეთესო შემთხვევაში, ბავშვთან ერთად ოთახში უნდა იმყოფებოდეს ორი დამკითხველი/გამომკითხველი.

- ბავშვის სურვილის ან საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია დაკითხვაზე სხვა მხარდამჭერი უფროსის დასწრებაც. ასეთ შემთხვევებში, მას უნდა განემარტოს ქცევის წესები: არ უპასუხოს ბავშვისთვის დასმულ კითხვებს, არ მიმართოს ბავშვს, აკონტროლოს საკუთარი ქცევა და სახის გამომეტყველება.
- გარკვეულ შემთხვევებში, მხარდამჭერი უფროსი არ უნდა იყოს მშობელი-მეურვე. მაგალითად, როცა მისი დასწრება ბოჭავს ბავშვს ან როცა მას მოძალადესთან აქვს იმ ტიპის ურთიერთობა, რომელმაც, შესაძლოა, ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს.
- თუ მშობელი დაიჟინებს, რომ ის აუცილებლად უნდა ესწრებოდეს დაკითხვას/გამოკითხვას, ხოლო დამკითხველები/გამომკითხველები ამას დასაშვებად არ მიიჩნევენ, პოლიციას აქვს კანონით მინიჭებული უფლება, არ დაუშვას იგი დაკითხვაზე/გამოკითხვაზე.
- შეიძლება ბავშვმა მოისურვოს, რომ უფროსი იმყოფებოდეს ახლომდებარე ოთახში. ამით მშვიდდება როგორც ბავშვი, აგრეთვე უფროსიც და ამავდროულად ნარჩუნდება დაკითხვის/გამოკითხვის პირადულობაც და სტაბილური მსვლელობაც.

**დაკითხვა/გამოკითხვა ყოველთვის კონკრეტულ ბავშვზე და შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე მორგებით უნდა დაიგეგმოს. ახალი ინფორმაციის ფონზე, უნდა მოხდეს დაკითხვის/გამოკითხვის უკვე არსებული გეგმის გადახედვა და შეცვლა.**

## თავი 6

### ბავშვის ჯანმრთელობის და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD)

#### დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული პროტოკოლი

რატომ არის მნიშვნელოვანი ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის სწორად ჩატარება?

- ხშირად ბავშვი მომხდარის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი მისაწვდომი წყაროა.
- ბავშვზე ძალადობაში ეჭვიმტანილთა უმრავლესობას ბრალი არ/ვერ დაუმიტკიცდათ ხშირად იმიტომ, რომ გამოძიება იყო არაადეკვატური, ბავშვის გამოკითხვა არასწორად ჩატარდა.

ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვის დაკითხვის თუ გამოკითხვის პროცესში არაერთი იმგვარი სიძნელე იჩენს თავს, რომლებიც, შესაძლოა, დამკითხველს, გამოკითხველს მხედველობიდან გამოორჩეს. ეს კი უარყოფითად აისახება როგორც ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სანდობაზე, ისე თვითონ ბავშვის მდგომარეობაზე.

#### ბავშვის დაკითხვისას/გამოკითხვისას გაითვალისწინეთ:

- უჩვეულო, უცხო გარემო უკვე ტრავმირებული ბავშვის ემოციურ მგრძობელობას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც გავლენას მოახდენს მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე.
- მტკივნეულ თემაზე საუბრისას, არაკორექტულად დასმული კითხვები საფრთხეს შეუქმნის მიღებული ინფორმაციის სანდობას.
- არასწორად ჩატარებული დაკითხვის შემთხვევაში, ბავშვს ტრავმული გამოცდილება განუახლდება და ის კიდევ ერთხელ იგრძნობს თავს მსხვერპლად.

#### რას წარმოადგენს NICHD პროტოკოლი?

ეს არის აშშ-ს ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული ინსტრუ-

მენტი. ის გამოიყენება დაზარალებული/მონმე ბავშვისგან მაქსიმალურად სრული და სარწმუნო ჩვენების მისაღებად.

NICHD პროტოკოლი შექმნილია მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევების საფუძველზე, რომლებიც მიმდინარეობდა როგორც პრაქტიკაში, ისე ლაბორატორიულ პირობებში, მეცნიერი ფსიქოლოგების და მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პრაქტიკოსი დეტექტივებისა და იურისტების აქტიური ჩართულობით. კვლევების მიზანი იყო ბავშვის მესხიერების, კომუნიკაციური შესაძლებლობების და სოციალური უნარების დარგში არსებული ცოდნის პრაქტიკულ დირექტივებად ქცევა დაკითხვის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

### **კვლევებით რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დადგინდა:**

- ბავშვს შეუძლია განცდილი მოვლენების დამახსოვრება;
- ბავშვისგან შესაძლებელია სარწმუნო ინფორმაციის მიღება, ოღონდ ამისთვის საჭიროა ფრთხილი საგამოძიებო პროცედურები და ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინება;
- ბავშვის მიერ გადმოცემული ინფორმაციის სანდოობა და სისრულე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამკითხველის პროფესიონალიზმზე;
- სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად, დამკითხველმა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა "ნააშველოს" ბავშვს ინფორმაცია დაკითხვის პროცესში;
- დამკითხველმა ღია მიმართვები (მაგალითად, "მომიყევი, რა მოხდა...") უნდა გამოიყენოს, რათა ბავშვმა შეძლოს, რომ მეტი ინფორმაცია გადმოსცეს თხრობით;
- ბავშვებისგან მიღებული ინფორმაციის ნახევარზე მეტი თავისუფალი გახსენების გზით გამოიშლავდა (მიუხედავად ასაკისა);
- თავისუფალი თხრობის მეშვეობით მიღებული ჩვენებები 3-5-ჯერ უფრო ინფორმაციული და უფრო სარწმუნოა, ვიდრე პირდაპირი და დახურული კითხვებით მიღებული ჩვენებები;
- მცირეწლოვან ბავშვებს თავისუფალი გახსენების გზით შეუძლიათ პასუხი გასცენ გამოძიებისთვის საინტერესო თითქმის ყველა კითხვას;
- მიმანიშნებელი კითხვები, რომლებიც ისედაც არასასურველია, კიდევ უფრო სარისკო ხდება 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან.

დაზარალებული/ მონმე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის NICHD პროტოკოლი უნიკალურია იმით, რომ ის შექმნილია მრავალრიცხოვანი მეცნიერული კვლევების საფუძველზე.

NICHD სტრუქტურირებული პროტოკოლის დახმარებით, ბავშვისგან მიღებული ინფორმაციის სისრულე და სანდოობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

# თავი 7

## NICHD პროტოკოლის ფაზები

აუცილებელია, რომ დამკითხველმა/გამომკითხველმა თითოეული ფაზის მნიშვნელობა გაიაზროს და ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა ყველა ამ ფაზის დაცვით ანარმოს.

### I. შესავალი

*(წარდგენა, განმარტებები ვიდეო/აუდიო ჩანერის, სამუშაოს, სიმართლის შესახებ; ქცევის წესები)*

- პროფესიონალის მიერ საკუთარი თავის წარდგენა (სახელი, პოზიცია), ასევე - ბავშვისთვის სხვა დამსწრე პირის გაცნობა;
- აუდიო/ვიდეო ჩანერის შესახებ განმარტება;
- მოკლე ინფორმაცია დამკითხველის/გამომკითხველის სამუშაოს შესახებ;
- ბავშვისთვის მის წინაშე დასახული ამოცანის (რომ მან უნდა მოყვეს მომხდარის, ილაპარაკოს სიმართლე) გამოკვეთა;
- სიმართლის თქმის მნიშვნელობის ხაზგასმა.
- განმარტებები, თუ რა არის სიმართლე და რა - არა, მაგალითების მოყვანით.
- ბავშვისთვის ქცევის ძირითადი წესების გაცნობა და მაგალითებით ვარჯიში:

**წესი 1. „არ ვიცი“:** თუ ისეთ შეკითხვას დაგისვამ, რომელზეც პასუხი არ იცი, უბრალოდ მითხარი: „არ ვიცი“.

**წესი 2. „ვერ გავიგე“.** თუ ისეთ რამეს გკითხავ, რასაც ვერ გაიგებ, უბრალოდ თქვი: „ვერ გავიგე“. მე შევეცდები, სხვაგვარად აგიხსნა.

**წესი 3. „ეს არასწორია/არ არის სიმართლე“.** ზოგჯერ მე შეცდომებს ვუშვებ ან რაიმეს არასწორად ვამბობ. თუ მე ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც არასწორი იქნება, უნდა მითხრა, რომ „ეს არასწორია/არ არის სიმართლე“.

**წესი 4. „აგიხსნით/გაგაგებინებთ“.** თუ მე ვერ გავიგებ შენს ნათქვამს, მაშინ გთხოვ, რომ განმარტო/ამიხსნა. მე არ ვიცი, რა მოხდა. ეს შენგან უნდა გავიგო.

**შენიშვნა:** უშუალოდ საუბრის დანწყებამდე, სასურველია, დაკითხვის/გამოკითხვის ფიზიკურ გარემოსთან და დამკითხველთან/გამომკითხველთან გარკვეული ადაპტაციისთვის ბავშვს მიეცეს რამდენიმე წამი.

## II. ურთიერთგაგების დამყარება

(„მომიყევი, რის კეთება გიყვარს“)

დაკითხვის/გამოკითხვის არსებით ნაწილზე გადასვლამდე, დამკითხველებმა/გამომკითხველებმა აუცილებლად უნდა დაუთმონ დრო ურთიერთგაგების დამყარებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ჩუმ, „ჯიუტ“ ან „ჩაკეტილ“ ბავშვებს ეხება. ურთიერთგაგების დამყარება ღია მიმართევებით უნდა ხდებოდეს და ბავშვისათვის მნიშვნელოვან გამოცდილებებს უნდა ეხებოდეს. ამ დროს გამოყენებული უნდა იყოს არაჩამაგონებელი მხარდაჭერი მიდგომა.

### • ურთიერთგაგების დამყარების 2 საფეხური

ბავშვს მივმართავთ ღია ტიპის მიმართვით, რომელიც მისთვის მნიშვნელოვან, როგორც დადებით, ასევე უარყოფით გამოცდილებას შეეხება.

- 1) ბავშვს მივმართავთ ბოლო დროს გადახდენილი მნიშვნელოვანი გამოცდილების მოყოლის თაობაზე (მაგალითად, დაბადების დღე) და ვთხოვთ, რომ მაქსიმალურად დეტალურად გაიხსენოს მომხდარი.

### • არაჩამაგონებელი მხარდაჭერა

მხარდაჭერის მეთოდების გამოყენება ამცირებს ბავშვის შფოთვისას, ეხმარება მას სირცხვილის და დანაშაულის გრძნობებთან გამკლავებაში, დაცულობის განცდის ჩამოყალიბებაში, შესაბამისად, დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში სრულფასოვნად ჩართვაში.

**ბავშვისთვის მხარდაჭერის აღმოჩენისას, უმნიშვნელოვანესია:**

- მხარდაჭერა არ იყოს ჩამაგონებელი. ის უნდა ახალისებდეს არა პასუხების შინაარსს, არამედ თავად პასუხის გაცემას.
- თანაგრძნობა მიმართული იყოს ანმყოზე, უშუალოდ გამოკითხვისას არსებულ განცდებზე და არა წარსულ გამოცდილებაზე.

**არაჩამაგონებელი მხარდაჭერის მეთოდები**

#### ა) ზოგადი მხარდაჭერა

- შეხვედრა: მიხარია შენი ნახვა.
- ბავშვისადმი ინტერესის გამომჟღავნება: მინდა, უკეთ გაგიცნო/უფრო

მეტი გავიგო შენ შესახებ.

- ზრუნვის გამოხატვა: მე დაინტერესებული ვარ შენი კარგად ყოფნით.
- მოკითხვა: როგორ ხარ/თავს როგორ გრძნობ?
- წახალისება: მეხმარები უკეთ გაგებაში/შენ კარგად ართმევ თავს.
- სიტბოს გამოხატვა: ხომ არ გცივა?/წამოდი, გაჩვენებ, სად არის ტუალეტი/აგერ, ჭიქით წყალი შენთვის.
- მადლიერება: დიდი მადლობა დახმარებისთვის/ვაფასებ შენს მონდობას.

## ბ) როდესაც ბავშვს უჭირს გამოკითხვაში ჩართვა

- თანაგრძნობა: ვიცი, რომ გიჭირს ამაზე საუბარი/ვიცი, რომ ეს დიდი ხნის წინ მოხდა.
- დარწმუნება: შეგიძლია კარგ რაღაცებზეც მომიყვე და ცუდზეც/აქ ყველაფერზე შეგიძლია ლაპარაკი/შეგიძლია თქვა ესეთი რაღაც/ესეთ სიტყვები/ცუდი სიტყვები.
- ბავშვის პრობლემების განზოგადება: თავიდან ბევრ ბავშვს უჭირს/რცხვენია.
- თავდაჯერებულობა/ოპტიმიზმი: შენ შეძლებ ამას/ რა თქმა უნდა, შეგიძლია ეს მითხრა.
- გამხნეება: არ ინერვიულო, სხვა ბავშვებს არაფერს ვეტყვი/არ დაგაგვიანდება/შენს დაჭერას არავინ აპირებს/მაღე მოვრჩებით.
- დახმარების შეთავაზება: მოყოლაში რა დაგეხმარება?/შეგიძლია დანერო/დაიწყე და მე მოგეხმარები.

## გ) როდესაც ბავშვი განსაკუთრებით „ჩაკეტილია“

**საყურადღებოა:** ეს მეთოდები მხოლოდ მაშინ უნდა იყოს გამოყენებული, როცა ძალადობის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებანი არსებობს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ეს მიმართვები განზოგადებული სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- წუხილის გამოხატვა: შენზე ვწუხვარ/ვფიქრობ, რაღაც შეგემთხვა. [განზოგადებული ფორმა: ჩემი მოვალეობაა ბავშვებზე ზრუნვა და მე განვიცდი, როცა მათ რაღაც ემართებათ].
- ახსნა: მე აქ შენს მოსასმენად ვარ/შეგიძლია მენდო და მომიყვე, რაც მოხდა. . . [განზოგადებული ფორმა: მე ვუსმენ ბავშვებს/ბავშვებს შეუძლიათ მენდონ და მომიყვნენ, თუ რა შეემთხვათ].

- დარიგება: გთხოვ, მითხარი, თუკი რაიმე შეგემთხვა/მნიშვნელოვანია, რომ მომიყვე თუ . . . [განზოგადებული ფორმა: ბავშვებმა უნდა მითხრან, თუ. . ./მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა მითხრან, თუ. . .]
- ბავშვისგან პასუხისმგებლობის ტვირთის ჩამოსხნა: თუ რაიმე მოხდა, იცოდე, რომ ეს შენი ბრალი არ არის. [განზოგადებული ფორმა: როცა რაიმე ხდება, ეს ბავშვის ბრალი არ არის].

**დ) როდესაც ბავშვი დათრგუნულად გამოიყურება**

**შენიშვნა:** შესაძლოა, გამოყენებულ იქნას დაკითხვის/გამოკითხვის დროს ბავშვის მიერ გამოხატული სხვა ემოციების მიმართაც:

- ემოციებში ჩაღრმავება: შიშზე მომიყევი/რისი გრცხვენია?
- მიღება: შენ თქვი, რომ . . . . მესმის რასაც ამბობ/ჩემთვის გასაგებია.
- ბავშვის სიტყვების გამეორება: შენ თქვი, რომ გეშინოდა.
- **არასწორი რეაქციები**
- ბავშვის განცდების/გრძნობების/სირთულეების უგულვებლყოფა: „ბავშვი: „დედამ დამარტყა და მეწყინა“; დამკითხველი/გამომკითხველი: „შემდეგ რა მოხდა?“
- უარყოფითი რეაქცია: „კაი რა, პატარა ხომ აღარ ხარ/ამდენ დროს ვკარგავთ.

წარმატებული ურთიერთგაგების დამყარება მხოლოდ მიმართვა და შეკითხვის დასმა როდია. უწინარესად, ეს არის ბავშვის მიერ გაკეთებული ვერბალური და არავერბალური სიგნალების შეფასება და იმაში დარწმუნება, რომ ბავშვი თანამშრომლობისათვის მზადაა. ურთიერთგაგების დამყარების ფაზის სათანადოდ გავლა დაკითხვის/გამოკითხვის არსებით ნაწილში ბავშვის ეფექტური ჩართულობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

**III. გავარჯიშება**

*(ღირსშესანიშნავი მოვლენა; გუშინ; დღეს)*

თხრობის გავარჯიშება ანუ სავარჯიშო გამოკითხვა მთლიანი დაკითხვის/გამოკითხვის რამდენიმე წუთს მოიცავს. მისი მიზანია ბავშვის და

დამკითხველების/გამომკითხველების გავარჯიშება შეკითხვების დასმასა და პასუხების გაცემაში. გასავარჯიშებელი გამოკითხვა, ხშირ შემთხვევაში, ამცირებს დასასმელი შეკითხვების რაოდენობას.

- **ეპიზოდური მესხიერების ვარჯიში**

ამგვარი გავარჯიშებით ბავშვი ერთგვარად პასუხობს სამართლებრივი სისტემის მოთხოვნას - აღწეროს კონკრეტული ეპიზოდები და არ გამოიყენოს ზოგადი ტერმინები. ეპიზოდების გახსენებაში გავარჯიშება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ბავშვი განმეორებადი მოვლენების, შემთხვევების შესახებ ყვება.

- **პასუხები ღია კითხვებზე**

დაკითხვის/გამოკითხვის დროს ყველაზე სასურველია ღია ტიპის შეკითხვები, რომლებიც ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალებას აძლევს. ღია მიმართებით გავარჯიშებული ბავშვები უკეთ ართმევენ თავს „ნამდვილ“ დაკითხვას/გამოკითხვას.

- **ურთიერთგაგების დამყარება**

ბავშვისთვის დაკითხვა/გამოკითხვა ხშირად გაუგებარი, დამძაბველი სიტუაციაა. გავარჯიშების ფაზაში ბავშვი გეცნობათ თქვენ და დაკითხვის/გამოკითხვის სტილს. როცა ბავშვებს სთხოვთ, მოყვენ ახლო წარსულში მომხდარი პირადი ეპიზოდის შესახებ, თქვენი მხრიდან ყურადღების, ინტერესის გამომჟღავნება მას უფრო გულახდილს ხდის.

- **მოტივაციის გაზრდა**

თხრობაში გავარჯიშებით ბავშვი საუბრის აქტიური თანამონაწილე ხდება და მას საუბრის მიმდინარეობის ერთგვარად გაკონტროლების საშუალება ეძლევა, რაც გამოკითხვაში ჩართვის მოტივაციას უძლიერებს. ბავშვი უფრო სპონტანურად, თავისუფლად აღწერს მოვლენებს, დამატებითი შეკითხვების გარეშე და მისი მონაცოლი უფრო ვრცელი და ზუსტია.

### **დამკითხველის/გამომკითხველის გავარჯიშება**

გავარჯიშების ფაზა, ბავშვის გარდა, თავად დამკითხველისთვისაც/გამომკითხველისთვისაც არის სასარგებლო. ის საშუალებას მოგცემთ, „მოერგოთ“ სიტუაციას, უკეთ გაიცნოთ ბავშვი და გამოავლინოთ მისი განვითარების ის თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება ბავშვის დაკითხვისას/გამოკითხვისას სასარგებლო იქნება.

თხრობის და გახსენების უნარების გავარჯიშება ბავშვების ჩვენებათა ხარისხს აუმჯობესებს. გავარჯიშების ფაზის წყალობით, შესაძლებელია სამართლებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც, შესაძლოა, ბავშვმა არ გაახმაუროს გავარჯიშების ფაზის ჩაუტარებლობის შემთხვევაში. გავარჯიშების შედეგად, დაკითხვის/გამოკითხვის მსვლელობისას, ბავშვები თავს უფრო დაცულად და კომფორტულად გრძნობენ.

#### IV. არსებითი ფაზა

არსებითი ფაზა დაკითხვის/გამოკითხვის ნაწილია, რომლის დროსაც დამკითხველი/გამომკითხველი დაზარალებული ან მონმე ბავშვისგან იღებს ინფორმაციას სავარაუდო/საეჭვო ძალადობის შესახებ. მისი მიზანია რაც შეიძლება ზუსტი და მიუკერძოებელი ინფორმაციის მოპოვება.

- **არსებითი ფაზის წყობა**

რეკომენდირებულია შეკითხვების „ძაბრისებური“ იერარქიული წყობის გამოყენება, რომელიც გულისხმობს:

- დაკითხვის/გამოკითხვის დაწყებას ღია ტიპის მიმართვებით („ძაბრის“ ზედა, ფართო ნაწილი);
- პირდაპირი და დახურული კითხვების დასმას მხოლოდ ღია კითხვების ამონაწერის შემდეგ („ძაბრის ქვედა, ვიწრო ნაწილი).
- არსებით ფაზაში ნებისმიერი დახურული ან პირდაპირი/კონკრეტული კითხვის დასმა მხოლოდ ღია კითხვების ამონაწერის შემდეგ შეიძლება.
- თუკი ღია მიმართვების მეშვეობით ბავშვი საკმარისად სრულ და სარწმუნო ინფორმაციას იძლევა, შესაძლებელია, რომ დახურული და პირდაპირი კითხვების დასმის საჭიროება აღარ დადგეს.
- არსებითი ფაზის დასკვნით ეტაპებზე შეიძლება შეიქმნას დამატებითი „მინი-ძაბრები“. თუკი დაკითხვის/გამოკითხვის ბოლოსთვის ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა რომელიმე კონკრეტული ინფორმაციის სრულად მოპოვება, დასაშვებია ბავშვისთვის პირდაპირი/კონკრეტული და დახურული კითხვების დასმა და შემდეგ ისევ მიბრუნება ღია შეკითხვებზე და თავისუფალი თხრობის ხელშეწყობა.

- **რეკომენდირებული მეთოდები**

- უპირატესობის მინიჭება ღია კითხვებისა და თავისუფალი თხრობისთვის,

მომხდარის ბავშვის სიტყვებით გადმოცემისთვის თავისუფალი გახსენების გზით;

- ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით, კონკრეტული, პირდაპირი კითხვების გადადება, სანამ არ ამოინურება ღია კითხვები;
- დაკითხვის/გამოკითხვის დროს გამოყენებული მეთოდების შეცვლა ბავშვის უნარ-შესაძლებლობების მიხედვით;
- ბავშვისთვის მხარდაჭერის გამოხატვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის „ჩაკეტილია“;
- დაკითხვის/გამოკითხვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, გამომძიებლებისათვის უკუკავშირის/მონიტორინგის უზრუნველყოფა.
- **დაკითხვის/გამოკითხვის არსებითი ნაწილის თანმიმდევრული ორგანიზება**

#### ა) არსებით ნაწილზე გადასვლა

- დაკითხვის/გამოკითხვის არსებით ნაწილზე გადასვლა იწყება ღია მიმართვით, რომელიც ბავშვს ახსენებს მთავარ სასაუბრო თემას, თუმცა თავად ინციდენტი ნახსენები არ არის: „ახლა, როცა უკეთ გაგიცანი, მინდა, იმაზე ვისაუბროთ, რისთვისაც დღეს აქ მოხვედი“.
- თუ ბავშვი მომხდართან დაკავშირებით არაფერს ამბობს, მაშინ პირდაპირ მიმართეთ: „მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა“. თუ ბავშვი მაინც არაფერს ამბობს მომხდარზე, მაშინ მიმართვები თანდათან უფრო და უფრო დააკონკრეტეთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციაც.

#### ბ) თავისუფალი გახსენების ფაზა

ამ ფაზაში, ღია მიმართვების გამოყენებით და ბავშვის თავისუფალი თხრობის ხელშეწყობით, დაეხმარეთ ბავშვს კონკრეტულ შემთხვევებზე ყურადღების მობილიზებაში, რათა მოხდეს შემთხვევების ერთმანეთისგან გამიჯვნა:

- დაკითხვის/გამოკითხვის არსებითი ნაწილი იწყება ღია მიმართვით: „მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა, თავიდან ბოლომდე“.
- მას შემდეგ, რაც ბავშვი პირველად მოყვება მომხდარის შესახებ, ჰკითხეთ: „ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ?“.
- თუ ერთზე მეტჯერ მოხდა, აუხსენით ბავშვს, რომ მან ჯერ უნდა მოყვეს ის შემთხვევა, რომელიც ყველაზე კარგად ახსოვს. სხვა შემთხვევების მოყოლისას კი, შეძლებისდაგვარად, დაასახელეთ თანმიმდევრობა: პირველი, ბოლო, ან ის შემთხვევა, რომელიც ბავშვს უკეთ ახსოვს.

### ც) ღია დამაზუსტებელი კითხვები

- კონკრეტული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, ბავშვის მიერ უკვე გამხელილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად მიმართეთ ღია დამაზუსტებელ შეკითხვებს. მაგალითად, „შემდეგ რა მოხდა?“, „უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ“, „შენ ახსენე... ყველაფერი მომიყევი მის შესახებ“.
- მაქსიმალურად მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, ღია მიმართვებით და თავისუფალი თხრობით გაიხსენოს რაც შეიძლება მეტი დეტალი ყოველი კონკრეტული ინციდენტის შესახებ. სასურველია, რომ ახალ ინციდენტზე გადასვლამდე მაქსიმალურად ამოიწუროს ძველის დეტალები.

### დ) პირდაპირი/კონკრეტული კითხვები

- თუ თავისუფალი გახსენება უკვე ამონურულია და კვლავ არ გამოყვანებულა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი დეტალები, შეგიძლიათ გადახვიდეთ პირდაპირ/კონკრეტულ კითხვებზე, რომლებიც ბავშვის მიერ ნახსენებ ინფორმაციას შეეხება: „რა?, ვინ?, როდის?, სად?“
- მნიშვნელოვანია, რომ ჯერ ბავშვს მის მიერვე ნახსენები სიტყვები შეახსენოთ და შემდეგ გადახვიდეთ უშუალოდ შეკითხვაზე.
- შეძლებისდაგვარად, დახურულ და პირდაპირ/კონკრეტულ კითხვებს ისევ ღია ტიპის მიმართვები უნდა მოჰყვეს.

### ე) შესვენება

ღია ტიპის მიმართვებისა და დამაზუსტებელი კითხვების ამონურვის შემდეგ, რეკომენდირებულია ხანმოკლე შესვენება. შესვენების დროს ხდება დამკვირვებელ კოლეგებთან კონსულტაციის გავლა იმის გასაგებად, ხომ არ არის დაკითხვის/გამოკითხვის დროს გამორჩენილი ისეთი რამ, რომლის შევსებაც, დანარჩენი ტიპის შეკითხვებზე გადასვლამდე, ღია ტიპის მიმართვებით არის შესაძლებელი. შესვენების დაწყება ხდება მიმართვით: „ახლა მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი კარგად გავიგე და ვიფიქრო იმაზე, რაც მითხარი/ჩანანერებს გადავხედავ/ამას დავეკითხები“.

### ფ) დახურული კითხვების გამოყენება

- მას შემდეგ, რაც ღია კითხვები და მიმართვები ამონურულია, შეიძლება გადასვლა დახურულ გამოიყენება დებულება, რომელიც ბავშვმა ან უნდა უარყოს ან დაადასტუროს („როცა ამას აკეთებდა, ის რაიმეს ამბობდა?“; ის ტანსაცმლის ზემოდან შეგეხო თუ შიგნიდან?“).
- დახურული კითხვების შემოტანა რეკომენდირებულია მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში, როცა ღია კითხვების ამონურვის შემდეგ, გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჯერ

ისევ არ არის მოპოვებული და მათი რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

- ამგვარი კითხვების დასმის დროს უმნიშვნელოვანესია ბავშვის მიერ ნახსენებ კონტექსტზე მითითება (მაგალითად: „როცა შენ მომიყევი [ბავშვის მიერ ნახსენები ინციდენტი], შენ ახსენე [ადამიანი/ნივთი/ადგილი/მოქმედება]. ეს [კონკრეტული შეკითხვა]?“). ამასთანავე, ბავშვის მიერ ყოველი პასუხის გაცემის შემდეგ დამკითხველი/გამომკითხველი უნდა დაუბრუნდეს ღია მიმართვებს.

### გ) გამჟღავნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება

- თუ ბავშვი ამბობს, რომ მან ვიღაცას გაუმხილა მომხდარი ინციდენტის ან ინციდენტების შესახებ, ჰკითხეთ: „მომიყევი როგორ შეიტყო [ადამიანი, რომელიც ბავშვმა ახსენა]“, „სხვებმა როგორ შეიტყვეს [ბოლო შემთხვევა]-ის შესახებ?“ „ვინ იყო პირველი, ვინც გაიგო?“ „კიდევ ვინ გაიგო?“ და სხვა.
- მსგავსი შეკითხვები უნდა დაისვას ბავშვის მიერ აღწერილი თითოეული შემთხვევისთვის.

**დაკითხვის/გამომკითხვის ყველა ეტაპზე მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ღია ტიპის მიმართვები.**

## V. დასრულება

დაკითხვის/გამომკითხვის არსებითი ნაწილის დამთავრების შემდეგ, ბავშვს საშუალება მიეცით:

- დასვას კითხვები, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს;
- გაამჟღავნოს, თუკი რაიმეს თქმა სურს.

შემდეგ ბავშვს მადლობა გადაუხადეთ ინფორმაციის მონოდებისთვის, დახმარებისთვის და თანამშრომლობისათვის. შეგიძლიათ გადასცეთ მას თქვენი სავიზიტო ბარათი და შესთავაზოთ, რომ დაგირეკოთ, თუკი რაიმეს თქმა/შეხვედრა მოუნდება. საჭიროების შემთხვევაში, შეუთანხმდით მომდევნო დაკითხვის/გამომკითხვის შესახებ. დაკითხვა/გამომკითხვა ნეიტრალურ თემებზე საუბრით დაასრულეთ.

„შენ დღეს ბევრი რამ მითხარი და მე მინდა, რომ დახმარებისთვის მადლობა გადაგიხადო“.

„არის კიდევ ისეთ რამ, რის შესახებაც შენ ფიქრობ, რომ უნდა ვიცოდე?“ „არის ისეთი რამ, რის თქმაც გინდა ჩემთვის?“

„არის რაიმე კითხვები, რომლებიც გინდა, რომ მე მკითხო?“

„თუ ჩემთან დალაპარაკება ისევ მოგინდება, შეგიძლია ამ ნომერზე დამირეკო“.

„დღეს, აქედან წასვლის შემდეგ, რის გაკეთებას აპირებ?“

### რა არ უნდა მოხდეს:

- დაკითხვის/გამოკითხვის დაწყება ქცევის წესების განმარტების და ურთიერთობის დამყარების ფაზის გარეშე;
- კითხვის დასმა კითხვითი სახელის “რატომ” გამოყენებით;
- მიმანიშნებელი/ჩამაგონებელი კითხვების დასმა;
- ზეგავლენის მომხდენი ქცევა;
- ბავშვის დაჩქარება;
- ბუნდოვანი ან რთული კითხვების დასმა;
- ბავშვისთვის შეთავაზება, რომ წარმოიდგინოს ან გამოიცნოს.

### რა უნდა მოხდეს:

- პროტოკოლის სტრუქტურის დაცვა;
- გამოკითხვის მიზნისა და მნიშვნელობის განმარტება
- ძირითადი წესების გაცნობა
- კონტაქტის დამყარება
- თავისუფალი თხრობის ხელშეწყობა
- ღია კითხვების მაქსიმალურად და ადეკვატურად გამოყენება
- დეტალების დასაზუსტებლად, ბავშვის მიერ ნახსენები ინფორმაციის ხაზგასმა.

ბავშვის მოტივაციის გაზრდით, დაკითხვის/გამოკითხვის მეთოდების ბავშვის განვითარების დონისადმი მორგებით იზრდება ბავშვის მიერ მონოდებული ინფორმაციის რაოდენობაც და სიზუსტეც.

სწორად ჩატარებული დაკითხვა/გამოკითხვა მნიშვნელოვანია თავად ბავშვისთვისაც.

ბავშვები, რომლებიც დაკითხვისას ნაკლებად ყვებიან გადატანილი ძალადობის შესახებ, საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას და არა იძულებას.

# დანართი

## დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვის/ გამოკითხვის NICHD სტრუქტურირებული პროტოკოლი

### 1. შესავალი

1. „გამარჯობა, მე ვარ პოლიციის ოფიცერი/გამომძიებელი \_\_\_\_\_  
(სახელი). {გააცანით სხვა დამსწრე პირებიც; საუკეთესო შემთხვევაში, ოთახში  
სხვა არავინ უნდა იმყოფებოდეს}. დღეს არის \_\_\_\_\_ და ახლა \_\_\_\_\_  
საათია. გამოკითხვას ვუტარებ \_\_\_\_\_-ს \_\_\_\_\_-ში.“

„როგორც ხედავ, ამ ოთახში არის ვიდეოკამერა და მიკროფონები. იმისათვის,  
რომ ყველაფერი მასსოვდეს, რასაც მეტყვი, მათი საშუალებით ჩვენს საუბარს  
ჩავინერთ. ზოგჯერ რაღაცები მავინწყდება, ხოლო ჩანანერი საშუალებას მაძლევს  
მოგისმინო და არ ვიყო იძულებული, ყველაფერი ხელით დავწერო“

„ჩემი სამუშაოს ნაწილია გავესაუბრო ბავშვებს [მოზარდებს] იმაზე, რაც მათ  
თავს გადახდათ. მე ბევრ ბავშვს [მოზარდს] ვხვდები იმისათვის, რომ მათ შეძლონ  
ჩემთვის სიმართლის თქმა იმის შესახებ, თუ რა გადახდათ თავს. სანამ დავინწყებთ,  
მინდა დავრწმუნდე, რომ კარგად გესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია  
სიმართლის თქმა.“ [მცირეწლოვან ბავშვებს აუხსენით, თუ რა არის სიმართლე და  
რა - არ არის სიმართლე].

„თუ მე ვიტყვი, რომ ჩემი ფეხსაცმელები წითელია (ან მწვანე); ეს სიმართლე იქნება  
თუ არ იქნება სიმართლე?“

[დაელოდეთ პასუხს, შემდეგ თქვით:]

2. „ეს არ იქნება სიმართლე, რადგანაც ჩემი ფეხსაცმელები სინამდვილეში  
არის [შავი, ლურჯი და ასე შემდეგ] თუ მე ვიტყვი, რომ ახლა ვზივარ, ეს იქნება  
სიმართლე თუ არ იქნება სიმართლე [სწორი თუ არასწორი]

[დაელოდეთ პასუხს]

3. „ეს იქნება [მართალი/სწორი], რადგანაც, როგორც ხედავ, მე მართლაც ვზივარ.“

„დავრწმუნდი, რომ კარგად გესმის, თუ რას ნიშნავს სიმართლის თქმა. ძალიან  
მნიშვნელოვანია, რომ დღეს მხოლოდ სიმართლე მითხრა. შენ უნდა მომიყვე  
მხოლოდ ის, რაც ნამდვილად შეგ

[პაუზა]

4. „თუ ისეთ რამეს გკითხავ, რასაც ვერ გავიგებ, უბრალოდ თქვი: ვერ გავიგე. კარგი?“

[პაუზა]

„თუ მე ვერ გავიგებ შენს ნათქვამს, მაშინ გთხოვ, რომ განმარტო“

[პაუზა]

5. „თუ ისეთ შეკითხვას დაგისვამ, რომელზეც პასუხი არ იცი, უბრალოდ მითხარი: არ ვიცი.“

„თუ მე გკითხავ: „რა ჰქვია ჩემს ძაღლს?“ [ან შვილს], რას მიპასუხებ?“

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი იტყვის „არ ვიცი“; თქვით]

6. „სწორია. არ იცი, ხომ ასეა?“

[თუ ბავშვი გამოცნობას შეეცდება, თქვით]

„არა, შენ ეს არ იცი, რადგანაც არ მიცნობ. როცა პასუხი არ იცი, თქვი, რომ არ იცი, ნუ შეეცდები გამოცნობას“

[პაუზა]

7. „თუ მე ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც არასწორი იქნება, უნდა მითხრა. კარგი?“

[დაელოდეთ პასუხს]

8. „თუ მე ვიტყვი, რომ შენ ორი წლის გოგონა ხარ [როცა გამოკითხვას უტარებთ, მაგალითად, 5 წლის ბიჭს], რას მეტყვი?“

[თუ ბავშვი არ შეგისწორებთ, თქვით]

„რას მეტყვი, თუ მე შეცდომით ორი წლის გოგონას დაგიძახებ [როცა გამოკითხვას უტარებთ, მაგალითად, 5 წლის ბიჭს]?“

[დაელოდეთ პასუხს]

9. „სწორია. ახლა იცი, რომ უნდა მითხრა, თუ შეცდომას დავუშვებ ან თუ ვიტყვი ისეთ რაღაცას, რაც სწორი არ იქნება.“

[პაუზა]

10. „თუ მე ვიტყვი, რომ შენ დგახარ, რას მეტყვი?“

[დაელოდეთ პასუხს]

## II. ურთიერთგაგების დამყარება

„მინდა, რომ უკეთესად გაგიცნო“.

1. „მითხარი რისი კეთება გიყვარს“

[დაელოდეთ ბავშვის პასუხს]

[თუ ბავშვი დანვრილებით გიპასუხებთ, გადადით მესამე შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი არ ან ვერ გიპასუხებთ, შეგიძლიათ სთხოვოთ]

2. „მართლა ძალიან მინდა შენი უკეთ გაცნობა. კარგი იქნება თუ მეტყვი, რისი კეთება გიყვარს“

[დაელოდეთ პასუხს]

3. მომიყევი უფრო მეტი [აქტივობების შესახებ, რომლებიც ბავშვმა დაასახელა]. მოერიდეთ ფოკუსირებას ტელევიზიაზე, ვიდეოებზე, ფანტაზიებზე.

[დაელოდეთ პასუხს]

## III. ეპიზოდური მესხიერების ვარჯიში

### ღირშესანიშნავი მოვლენა

[შენიშვნა: ეს ნაწილი იცვლება შემთხვევის შესაბამისად]

[დაკითხვის დაწყებამდე, ბავშვისთვის ღირშესანიშნავი მოვლენა მოიძიეთ მისი უახლოესი წარსულიდან: სკოლის პირველი დღე, დაბადების დღის წვეულება, დღესასწაულის აღნიშვნა და ასე შემდეგ; დაუსვით ბავშვს მოცემული კითხვები მოვლენის შესახებ. თუ შესაძლებელია, აირჩიეთ ისეთი ღირშესანიშნავი მოვლენა, რომელიც სავარაუდო ან საეჭვო ძალადობას მიახლოებით ემთხვეოდა დროში. თუ სავარაუდო ძალადობა ზუსტად ღირშესანიშნავი მოვლენის დროს მოხდა,

აირჩიეთ სხვა მოვლენა]

**„მინდა, უფრო მეტი გავიგო შენი და შენი ქმედებების შესახებ“.**

1. **„ამ რამდენიმე [დღის/კვირის]წინ იყო [დღესასწაული/დაბადების დღე/ სკოლის პირველი დღე/ სხვა მოვლენა]. მომიყევი ყველაფერი, რაც მაშინ [შენი დაბადების დღე, აღდგომა, სხვა] მოხდა.**

[დაელოდეთ პასუხს]

1ა. **„კარგად გაიხსენე [აქტივობა ან მოვლენა] და ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა გავიძიებიდან [ბავშვის მიერ წინა კითხვის პასუხში ნახსენებ ნაწილი] - დე.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

1ბ. **„რა მოხდა ამის შემდეგ?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

1ც. **„ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა [ბავშვის მიერ ნახსენები მოვლენის ნაწილი] -დან დაძინებამდე“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

1დ. **„უფრო მეტი მომიყევი / კიდევ რისი თქმა შეგიძლია? [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობის შესახებ]“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

1ე. **„წელან ახსენე [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]. ყველაფერი მომიყევი მის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება].

[თუ ბავშვი უნიათოდ აღწერს მოვლენას, განაგრძეთ 2-2ე შეკითხვებით].

[შენიშვნა: თუ ბავშვი დეტალურად აღწერს მოვლენას, თქვით:]

**„მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი მითხრა, რაც გახსოვს, იმის შესახებ, რაც შეგემთხვა. შეგიძლია მითხრა კარგი რამეებიც და ცუდი რამეებიც.“**

## **გუშინ**

**2. „მე ძალიან მინდა ვიცოდე, რა გადაგხდა თავს. მომიყევი, რა გადაგხდა გუშინ თავს, გალვიძებიდან დაძინებამდე“.**

[დაელოდეთ პასუხს]

**2ა. „არ მინდა, რომ რამე გამოგრჩეს. ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა მოხდა გალვიძებიდან [ბავშვის მიერ წინა კითხვის პასუხში ნახსენები აქტივობა] - დე“.**

[დაელოდეთ პასუხს]

**2ბ. „რა მოხდა შემდეგ?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**2ც. „ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა] -დან დაძინებამდე“.**

[დაელოდეთ პასუხს]

**2დ. „უფრო მეტი მომიყევი [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

2ე. „წელან ახსენე [ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]. ყველაფერი მომიყევი მის შესახებ“.

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

## დღეს

თუ ბავშვი არ განვდით ადექვატურ და დეტალურ ინფორმაციას გუშინდელი დღის შესახებ, გაიმეორეთ შეკითხვები 2-2ე დღევანდელი დღის შესახებ. გამოიყენეთ „აქ მოსვლის დრო“, როგორც ორიენტირი/ბოლო მოვლენა..

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომიყევი ყველაფერი, რაც მართლა შეგემთხვა“.**

დაკითხვის არსებითი ნაწილი

## IV. არსებით ნაწილზე გადასვლა

**„ახლა, როცა უფრო უკეთ გაგიცანი, მინდა იმის შესახებ გესაუბრო, რის გამოც შენ დღეს აქ ხარ“.**

[თუ ბავშვი პასუხის გაცემას დაინწყებს, დაელოდეთ]

[თუ ბავშვი მოკლედ აღწერს სავარაუდო შემთხვევას (მაგალითად: „დავითი ჩემს კუჭუს შეეხო“ ან „მამაჩემი მირტყამს), გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს შემთხვევის შესახებ, განაგრძეთ შეკითხვა 1-ით.]

1. „მესმის, რომ რაღაც შეგემთხვა. ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა, თავიდან ბოლომდე“.

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგანვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს, განაგრძეთ შეკითხვით 2-ით]

2. „როგორც გითხარი, ჩემი საქმეა, ბავშვებს ვესაუბრო ისეთ რაღაცებზე, რაც მათ შეიძლება თავს გადახდენოდათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მითხრა რატომ [ხარ აქ/მოხვედი აქ/ვარ აქ]. შენი აზრით, რატომ მოგიყვანა [დედა, მამა, ბებია]-მ დღეს [ან: „შენი აზრით რატომ მოვედი შენთან სასაუბროდ]?“

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი საერთოდ არ მოგაწვდით ინფორმაციას და თქვენ არ იცით, ესაუბრა თუ არა ბავშვი რომელიმე სპეციალისტს, გადადით მე-4 ან მე-5 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი არ გააკეთებს განაცხადს და იცით, რომ ის უკვე გაესაუბრა რომელიმე სპეციალისტს, გადადით მე-3 შეკითხვაზე]

3. „გავიგე, რომ შენ ესაუბრე [ექიმს/მასწავლებელს/სოციალურ მუშაკს/ან სხვა] [ადგილი/დრო]. მომიყვი, რაზე ილაპარაკეთ.“

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს და ხილული არ იქნება ძალადობის ფიზიკური კვალი, გადადით მე-5 შეკითხვაზე]

[თუ ფიზიკური ნიშნები ხილულია, გამომძიებელს ფოტოებზე აქვს ნანახი ან ვილაცამ უთხრა, ან თუ დაკითხვის ადგილი საავადმყოფოა ან გამოკითხვა უშუალოდ სამედიცინო შემონმების შემდეგ მიმდინარეობს, თქვით:]

4. „ვხედავ, [გავიგე] რომ გაქვს [ძალადობის ფიზიკური ნიშნები/დაზიანებები/სისხლჩაქცევები] შენს -----ზე

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგანვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს, განაგრძეთ მე-5 შეკითხვით]

**5. „ვინმე ხომ არ განუხებს?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგანვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არ დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. გადადით მე-6 შეკითხვაზე]

**6. „შეგემთხვა რამე [ადგილი/სავარაუდო ძალადობის დრო]?“**

[შენიშვნა: არ ახსენოთ ექვმიტანილის სახელი ან განაცხადის რომელიმე დეტალი]

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგანვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. გადადით განაგრძეთ მე-7 შეკითხვით]

**7. „ვინმემ რამე ისეთი გაგიკეთა, რაც, შენი აზრით, არასწორია?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. განაგრძეთ მე-8 შეკითხვით]

**პაუზა. რამდენად მზად ხართ გასაგრძელებლად? ხომ არ სჯობს, რომ გაგრძელებამდე შეისვენოთ?**

თუ თქვენ გაგრძელებას გადაწყვეტთ, თქვენს ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით, მკაფიოდ უნდა გქონდეთ ჩამოყალიბებული მე-8 და მე-9 შეკითხვები. დაკითხვის დანეჭვამდე დარწმუნდით, რომ ბავშვს ეს შეკითხვები დეტალურად მინიმალურად მიაწვდიან. თუ არ გექნებათ ეს შეკითხვები ჩამოყალიბებული, შეისვენეთ და დრო ამ კითხვების ჩამოსაყალიბებლად გამოიყენეთ.

**8ა. „ვინმემ [შეაჯამეთ ვარაუდები ან ეჭვები, ისე, რომ არ ახსენოთ სავარაუდო დამნაშავეთა სახელები. მოერიდეთ დეტალიზაციას] (მაგალითად: „ვინმემ დაგარტყა?“ ან „ვინმე შენს კუჭუს შეეხო [სხეულის ინტიმური ადგილები]?)“**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. განაგრძეთ მე-9 შეკითხვით]

**9ა. „შენმა მასწავლებელმა [ექიმი/ფსიქოლოგი/მეზობელი] მითხრა/მაჩვენა [„რომ შენ სხვა ბავშვების კუჭუებს ეხებოდი“/“შენი ნახატი“] და მინდა გავიგო, თუ შეგემთხვა რამე. ვინმემ [შეაჯამეთ ვარაუდები ან ეჭვები, ისე, რომ არ ახსენოთ დამნაშავეთა სახელები. მოერიდეთ დეტალიზაციას] (მაგალითად: „ვინმემ, შენი ოჯახის წევრებიდან დაგარტყა?“ ან „ვინმე შენ კუჭუს ან სხეულის სხვა ინტიმურ ადგილებს შეეხო])?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით

შეკითხვა 10ა-ზე]

[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. გადადით XI ნაწილზე]

## V. შემთხვევათა გამოძიება

### ლია კითხვები

10. [თუ ბავშვი ექვს წლამდე ასაკისაა, გაიმეორეთ განაცხადი ბავშვის სიტყვებით; არ ახსენოთ ისეთი დეტალები ან სახელები, რომელთა შესახებაც ბავშვს არაფერი უთქვამს,]

[შემდეგ უთხარით:]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი ექვს წელზე მეტისაა, უბრალოდ თქვით:]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

10ა. **„შემდეგ რა მოხდა?“ ან „უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[განცხადებული შემთხვევის სრული აღწერის მისაღებად, დასვით ეს შეკითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

[შენიშვნა: თუ ბავშვის აღწერა ძალიან ზოგადია, გადადით მე-12 შეკითხვაზე (შემთხვევათა გამიჯვნა). თუ ბავშვი კონკრეტულ ინციდენტს აღწერს, განაგრძეთ 10ბ შეკითხვით]

10ბ. **„გაიხსენე ის [დღე/ღამე] და ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა [ბავშვის მიერ ნახსენები, რომელიმე წინმსწრები მოვლენა]-დან [ბავშვის მიერ განცხადებული ძალადობის აქტი]-მდე“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: შემთხვევის დეტალური აღწერისათვის, გამოიყენეთ ეს მიმართვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**10ც. „მომიყვი [ადამიანი/ნივთი/ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]-ის შესახებ“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**10დ. შენ ახსენე [ადამიანი/ნივთი/ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა], მითხარი ყველაფერი მის შესახებ.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

[თუ თქვენთვის რამე გაურკვეველი დარჩება ( მაგალითად, მოვლენათა თანმიმდევრობა), თქვით:]

**„შენ ბევრი გამოსადეგი რამ მითხარი, მაგრამ ცოტა დავიბენი. მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი სწორად გავიგე, თავიდან მომიყვი [როგორ დაიწყო/ კონკრეტულად რა მოხდა/ როგორ დასრულდა/ ასე შემდეგ].“**

**დამაზუსტებელი კითხვები ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე**

[თუ ღია კითხვების ამონაწერის შემდეგ, განაცხადს მნიშვნელოვანი დეტალები მაინც აკლია ან მიღებული ინფორმაცია ბუნდოვანია, გამოიყენეთ დამაზუსტებელი კითხვები. მნიშვნელოვანია, რომ დამაზუსტებელი კითხვები შეძლებისდაგვარად შეუხამოთ ღია კითხვებს].

[შენიშვნა: უპირველესად, მოახდინეთ ბავშვის კონცენტრირება ნახსენებ დეტალზე და შემდეგ დასვით დამაზუსტებელი კითხვა].

**შემდეგ მოდის დამაზუსტებელი კითხვების ზოგადი ფორმატი**

**11. „შენ ახსენე [ადამიანი/ნივთი/აქტივობა], [დამაზუსტებელი შეკითხვის გაგრძელება].“**

მაგალითები:

1. **„შენ თქვი, რომ მაღაზიაში იყავი. კონკრეტულად სად იყავი? “**[დაელოდეთ პასუხს] **„მომიყვი რამე ამ მაღაზიის შესახებ“**

2. „შენ თქვი, რომ დედამ „ჩაგარტყა გრძელი რალაც“. მომიყევი ამ რალაცის შესახებ“.

3. „შენ ახსენე მეზობელი. მისი სახელი იცი?“ [დაელოდეთ პასუხს]. „მომიყევი რამე მაგ მეზობელზე“ [არ სთხოვოთ აღწერა]

4. „შენ თქვი, რომ ერთ-ერთმა შენმა კლასელმა დაინახა. რა ჰქვია მას?“ [დაელოდეთ პასუხს] „მომიყევი, რას აკეთებდა იქ“.

**შემთხვევათა გამიჯვნა**

12. „ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ განმეორდა?“

[თუ შემთხვევა მხოლოდ ერთხელ მოხდა, შეისვენეთ]

[თუ შემთხვევა განმეორდა, განაგრძეთ მე-13 შეკითხვით. გახსოვდეთ: თითოეული შემთხვევა დეტალურად გამოიკვლიეთ, ისე, როგორც აქ არის მითითებული]

13. „მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა ბოლოჯერ [პირველად / იმ ადგილზე ყოფნისას / კონკრეტული აქტივობის დროს/ სხვა დროს, რომელიც კარგად გახსოვს]“

[დაელოდეთ პასუხს]

13ა. „შემდეგ რა მოხდა?“ ან „უფრო მეტი მომიყევი / კიდევ რისი თქმა შეგიძლია?“

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება].

13ბ. „გაიხსენე ის [დღე/ღამე] და მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა [ბავშვის მიერ ნახსენები წინმსწრები მოვლენა]-დან [განცხადებული ძალადობრივი შემთხვევა]-მდე.“

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ მიმართვის ვარიაციები გამოიყენეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

13ც. „მომიყევი [ადამიანი/ნივთი/ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]-ის შესახებ“.

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**13დ. „შენ ახსენე [ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]. ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება].

**კითხვები ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე**

[თუ ღია კითხვების ამონაწერის შემდეგ, განაცხადს მნიშვნელოვანი დეტალები მაინც აკლია ან ბურუსითაა მოცული, გამოიყენეთ დამაზუსტებელი კითხვები. მნიშვნელოვანია, რომ დამაზუსტებელი კითხვები შეძლებისდაგვარად შეუხამოთ ღია კითხვებს].

[შენიშვნა: უპირველესად, მოახდინეთ ბავშვის კონცენტრირება ნახსენებ დეტალზე და შემდეგ დასვით დამაზუსტებელი კითხვა] .

**შემდეგ მოდის ფოკუსირებული/დამაზუსტებელი კითხვების ზოგადი ფორმატი**

**14. „შენ ახსენე [ადამიანი/ნივთი/აქტივობა], [დამაზუსტებელი შეკითხვის გაგრძელება]“**

**მაგალითები:**

**1. „შენ თქვი, რომ ტელევიზორს უყურებდი. ტელევიზორში რას უყურებდი?**

[დაელოდეთ პასუხს]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

**2. „წელან თქვი, რომ მამაშენმა „წაგითაქა“. ზუსტად მითხარი, რა გააკეთა.“**

**3. „შენ თქვი, რომ იქ შენი მეგობარიც იყო. რა ჰქვია მას?“**

[დაელოდეთ პასუხს]

**„მომიყევი, რას აკეთებდა ის იქ“.**

**4. „შენ თქვი, რომ ბიძაშენი თითოთ შეგეხო [„გეზასავა“/“შენთან სექსი ჰქონდა“/ ასე შემდეგ]. ზუსტად მითხარი, რა გააკეთა.“**

გაიმეორეთ ეს ნაწილი იმდენჯერ, რამდენი შემთხვევის შესახებაც იტყვის ბავშვი, რათა მოიპოვოთ სასურველი აღწერა. თუ ბავშვი ორზე მეტ შემთხვევას დააკონკრეტებს, თავდაპირველად ჰკითხეთ, რა მოხდა „ბოლოს“, შემდეგ „პირვე-ბოლოს კი - „სხვა დროს, რომელიც კარგად ახსოვს“.

## VI. შესვენება

[ბავშვს უთხარით:]

„ახლა მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი გავიგე და გავარკვიო, -არის თუ არა კიდევ რამე, რის შესახებაც უნდა გკითხო. მე [ვიფიქრებ შენს ნაამბობზე/ ჩანიშვნებს გადავხედავ/გავარკვევ].“

[შესვენების დროს განიხილეთ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. შეავსეთ დაკითხვის ოქმი. შეამოწმეთ, გაკლიათ თუ არა ინფორმაცია. დაგეგმეთ დაკითხვის დარჩენილი ნაწილი. დამაზუსტებელი კითხვები აუცილებლად წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბეთ].

## შესვენების შემდეგ

[იმისათვის, რომ მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია, რაზეც ბავშვს არაფერი უთქვამს, დამატებით დასვით ზემოთ აღწერილი პირდაპირი და ღია კითხვები. დაუბრუნდით ღია კითხვებს („მითხარი უფრო მეტი...“) ყოველი პირდაპირი კითხვის შემდეგ. ამ კითხვების ამონურვის შემდეგ გადადით VII ნაწილზე].

## VII. ბავშვის მიერ გაუმხელელი ინფორმაციის მოპოვება

[ფოკუსირებული კითხვები მხოლოდ მაშინ უნდა დასვით, თუკი უკვე გამოიყენეთ სხვა მიდგომები და მაინც გაკლიათ სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია]. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ ღია „გამოსაწვევი“ მიმართვები („მომიყევი ყველაფერი ამის შესახებ“), ყოველ შესაძლო შემთხვევაში.

[შენიშვნა: მრავალჯერადი შემთხვევის დროს, მიმართეთ ბავშვი რელევანტური შემთხვევისაკენ მისივე სიტყვების გამოყენებით. მიეცით ბავშვს საშუალება, მოგანოდოთ მნიშვნელოვანი დეტალები და მხოლოდ შემდეგ დასვით ფოკუსირებული კითხვები]

[მხოლოდ მაშინ გადადით მომდევნო შემთხვევაზე, როცა დარწმუნდებით, რომ კონკრეტული შემთხვევის შესახებ ყველა დეტალი მოგროვებული გაქვთ]

**კითხვების ზოგადი ფორმატი ფოკუსირებული ბავშვის მიერ გაუმხელებელ ინფორმაციაზე**

**„როდესაც მიყვებოდი [კონკრეტული შემთხვევა, რომლის დრო ან ადგილი ცნობილია], შენ ახსენე [აღამიანი/ნივთი/აქტივობა]. იყო [ფოკუსირებული კითხვა]**

[დაელოდეთ პასუხს]

[როცა მართებული იქნება, გააკეთეთ „მონვევა“; თქვით]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

*მაგალითები:*

1. **„როდესაც შენ ბინაში ყოფნის შესახებ მიყვებოდი, შენ თქვი, რომ მან შარვალი გაიხადა. შენს ტანსაცმელს რამე მოუვიდა?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[ბავშვის პასუხის შემდეგ თქვით]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

2. **„როდესაც ბოლო შემთხვევის შესახებ მიყვებოდი, შენ თქვი, რომ ის შეგეხო. ის ტანსაცმლის ზემოდან შეგეხო?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[ბავშვის პასუხის შემდეგ თქვით]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

3. **„ის ტანსაცმლის ქვეშ შეგეხო?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[ბავშვის პასუხის შემდეგ თქვით]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

4. „შენ მე მითხარი იმის შესახებ, რაც ეზოში მოხდა.. ვინმემ დაინახა რაც მოხდა?“

[დაელოდეთ პასუხს]

[როცა მართებული იქნება, თქვით]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“

5. „ხომ არ იცი, შეემთხვათ თუ არა მსგავსი რამ სხვა ბავშვებს?“

[დაელოდეთ პასუხს]

[როცა მართებული იქნება თქვით]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“

6. „შენ მითხარი იმის შესახებ, რაც ფარდულში მოხდა. იცი, როდის მოხდა ეს?“

### VIII. თუ ბავშვი სრულყოფილ ინფორმაციას არ განვლით

გამოიყენეთ მხოლოდ რელევანტური მიმართვები.

თუ თქვენთვის ცნობილია, რომ შედგა საუბარი, რომლის დროსაც ბავშვმა ინფორმაცია გააუღერა, თქვით:

1. „როგორც გავიგე, შენ ესაუბრე [დრო/ადგილი]. მომიყევი, რაზე ისაუბრეთ.

[თუ ბავშვი არ მოგანვლით ინფორმაციას, დასვით მე-2 შეკითხვა; თუ ბავშვი რაიმე ინფორმაციას მაინც მოგანვლით, თქვით:]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორიცაა „მომიყევი ამის შესახებ“].

თუ თქვენ იცით ბავშვის სხვასთან შემდგარი საუბრის დეტალები, მაგრამ ინფორმაცია თქვენთვის ბავშვს არ გაუხმელია, თქვით:

2. „როგორც გავიგე [-----მ მითხრა], შენ ილაპარაკე [შეაჯამეთ განაცხადი, შეძლებისდაგვარად მოერიდეთ ბრალდების შემცველი დეტალების ხსენებას], ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორცაა „მომიყვევი ამის შესახებ“ და ასე შემდეგ]

**3. თუ რაიმე ინფორმაცია დაკვირვების საფუძველზეა მოპოვებული, თქვით:**

**ა. „როგორც გავიგე, ვილაცამ დაინახა [] ყველაფერი მომიყვევი ამის შესახებ“.**

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორცაა „მომიყვევი ამის შესახებ“ და ასე შემდეგ].

თუ ბავშვი უარჰყოფს, გადადით შეკითხვა 3ბ-ზე

**ბ. „რამე შეგემთხვა [დრო/ადგილი]? ყველაფერი მომიყვევი ამის შესახებ“.**

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორცაა „მომიყვევი ამის შესახებ“].

თუ ბავშვს აქვს/ჰქონდა ტრავმები და ძალადობის ფიზიკური ნიშნები, თქვით:

**4. „ვხედავ [გავიგე], რომ შენ გაქვს [ნიშნები/სისხლჩაქცევები] შენს []-ზე“.**  
**„ყველაფერი მომიყვევი ამის შესახებ“.**

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორცაა „მომიყვევი ამის შესახებ“ ].

**5. „ვინმემ [გააკეთეთ შეჯამება მოძალადის დასახელების გარეშე (თუ ბავშვმა თავად არ დაასახელა ის) ან ბრალდების დეტალების გარეშე]?“**

**თუ ბავშვი უარყოფს, გადადით შემდეგ ნაწილზე**

**თუ ბავშვი რამეს იტყვის, თქვით:**

**„ყველაფერი მომიყვევი ამის შესახებ“**

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორცაა „მომიყვევი ამის შესახებ“ ]

**IX. ინფორმაცია გამჟღავნების შესახებ**

**„შენ მე მითხარი, თუ რატომ მოხვედი დღეს ჩემთან სასაუბროდ. შენ მიერ მონოღებული ინფორმაცია ძალიან მენხმარება მომხდარის უკეთ გაგებაში“.**

[თუ ბავშვმა ახსენა, რომ შემთხვევის/შემთხვევათა შესახებ ვინმეს მოუყვა, გადადით მე-6 შეკითხვაზე. თუ ბავშვმა მსგავსი არაფერი თქვა, უმაღლეს შემომნმეთ მომხდარის გამჟღავნების შესაძლებლობა. თქვით:]

**1. „მომიყვი, რა მოხდა [ბოლო ინციდენტი]-ის შემდეგ?**

[დაელოდეთ პასუხს]

**2. „და შემდეგ რა მოხდა?“**

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

[თუ ბავშვი ვინმესთვის გამჟღავნების შესახებ გეტყვით, გადადით მე-6 შეკითხვაზე. თუ, არა - განაგრძეთ]

**3. „კიდევ ვინმემ იცის მომხდარის შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს. თუ ბავშვი ვინმეს დაასახელებს, გადადით მე-6 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დაადასტურებს, მაგრამ არავის ახსენებს, ჰკითხეთ]

**ვინ?**

[დაელოდეთ პასუხს. თუ ბავშვი ვინმეს დაასახელებს, გადადით მე-6 შეკითხვაზე].

**4. „ახლა მინდა გავიგო, სხვა ადამიანებმა როგორ გაიგეს [ბოლო შემთხვევა] შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს. თუ ბავშვი ვინმეს დაასახელებს, გადადით მე-6 შეკითხვაზე].

[თუ ინფორმაცია გაკლიათ, დასვით მომდევნო შეკითხვები].

**5. „ვინ იყო პირველი, შენი და [დამნაშევე]-ს გარდა, ვინც გაიგო [ბავშვის მიერ განცხადებული ძალადობა]-ს შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს.]

**6. „მომიყვი ყველაფერი, რაც შეგიძლია, თუ როგორ გაიგო [ბავშვის მიერ ნახსენები „პირველი გამგები“-]მა მომხდარის შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს]

[შემდეგ თქვით]

**„უფრო მეტი მომიყვები ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვი საუბარს აგლიწერთ, თქვით:]

**„ყველაფერი მითხარი, რის შესახებაც ისაუბრეთ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

**7. „კიდევ ვინმემ იცის [ბავშვის მიერ აღწერილი განცხადებული ძალადობა]-ს შესახებ?“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შემდეგ თქვით]

**„მომიყვები უფრო მეტი ამის შესახებ“.**

[თუ ბავშვი საუბარს აგლიწერთ, თქვით]

**„ყველაფერი მითხარი, რის შესახებაც ისაუბრეთ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავშვის თქმით, მას არავისთვის უთქვამს, ჰკითხეთ:]

**ეს ნაწილი საჭიროებისამებრ მთლიანად გაიმეორეთ ბავშვის მიერ ნახსენები თითოეული შემთხვევისათვის**

## **X. დასრულება**

[თქვით:]

**„დღეს შენ ბევრი რამ მითხარი და მე მინდა, დახმარებისათვის მადლობა გადაგიხადო“.**

**1. „არის კიდევ ისეთ რამ, რის შესახებაც შენ ფიქრობ, რომ უნდა ვიცოდე?“**

[დაელოდეთ პასუხს]

2. „არის ისეთი რამ, რის თქმაც გინდა ჩემთვის?“

[დაელოდეთ პასუხს]

3. „არის რაიმე კითხვები, რომლებიც გინდა, რომ მე მკითხო?“

[დაელოდეთ პასუხს]

4. „თუ ჩემთან დალაპარაკება ისევ მოგიწევს, შეგიძლია ამ ნომერზე დამირეკო“  
[გადაეცით ბავშვს ბარათი, თქვენი სახელით, გვართ და ტელეფონის ნომრით].

## XI. ნეიტრალური სასაუბრო თემა

„დღეს, აქედან წასვლის შემდეგ, რის გაკეთებას აპირებ?“

[რამდენიმე წუთი ბავშვს ნეიტრალურ თემაზე ესაუბრეთ].

„ახლა არის [კონკრეტული დრო] და ეს ინტერვიუ დასრულებულია“

**ბავშვებს, ახალგაზრდებს და ადამიანებს, ვისაც  
მათი გედი აწუხებთ, შეუძლიათ დაგვირეკონ:**

**116 111**

**ბავშვთა დახმარების ხაზი**

**მოგვმართეთ:**

**თბილისი - ბავშვთა და ახალგაზრდების ადვოკატირების ცენტრი**

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

ცენტრის მისამართი: თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქუჩა 4,  
ბინა 1.

**ბავშვთა დახმარების ხაზი - 116 111**

ტელეფონი: (32) 2 421 422;

ელ-ფოსტა: info@phf.org.ge;

ვებ-გვერდი: www.phf.org.ge

Facebook: Public Health Foundation of Georgia

**ზუგდიდი - ბავშვთა და ახალგაზრდების ადვოკატირების ცენტრი**

რეაბილიტაციის და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი  
"თანაზიარი"

ცენტრის მისამართი: ზუგდიდი, კედიას ქ. №3, ბინა 2.

ტელეფონი: (415) 22 24 75 ან (415) 22 10 78

ელ-ფოსტა: cactanaziari@gmail.com

Facebook: NGO Tanaziari

## ბათუმი - ბსუ ბავშვთა და ახალგაზრდების ადვოკატირების ცენტრი

საზოგადოებრივი ორგანიზაცია “სთეფ ფორ ვარდი”

ცენტრის მისამართი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კლინიკა, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

ტელეფონი: (422) 22 58 30, (422) 27 76 23;

ელ-ფოსტა: cacbsu@gmail.com

ვებ-გვერდი: <http://stepforward.org.ge>

Facebook: Step Forward

ბავშვთა და ახალგაზრდების ადვოკატირების ცენტრები შექმნილია პროექტის “ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდების დასაცავად” ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით.

